ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## „არ შევეგუებით ქვეყნის კიდევ ჩაკეტვას“

გიორგი გუგავა: „თუ მონობაში გვინდა ყოფნა, მაშინ ზედ გამოწერილია ივანიშვილი“



გვ.4

ორშაბათი, 12 აპრილი, 2021 №61 (8590) ფასი: 60 თეთრი

# „გახარია-კალაძე-კობახიძის გასარკვევი იქნება, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებზე“



პაატა ზაქარეიშვილი: „ევროპული საქართველო“ უფრო და უფრო უკან დაიხევს“



გვ.3

## „უცნობის“ აქცია სინამდვილეში სპეცოპერაცია იყო“



შოთა მალაშხია: „დაუსრულებელი შეზღუდვები ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება“

## „უცნობმა უღალატა ქართველ ხალხს, სააკაშვილს გაურიგდა და 9 აპრილში ნუ შეგვეჯიბრებიან“



გვ.2

ლევან ბერძენიშვილი: „ვოლსკი მეორე ხელსაც გვაჩვენებს და შეიძლება პირდაპირ ამოიღოს“

## „ჩვენ თუ პარლამენტში შევალთ, 2024 წელსაც გაყალბდება არჩევნები“



გვ.3

მურმან დუმბაძე: „იაგო ხვიჩიას პარლამენტში შესვლით თუ სიტუაცია ჩიხიდან გამოვა და პოლიტიკური რეალობა შეიცვლება ქვეყანაში, დაე, შევიდეს“



გვ.5

## ჯემალ გამახარია: „ოკუპანტების კისერზეა გალის ოთხი მცხოვრების დაღუპვა“

გვ.5

## დმანისის პოლიციის უფროსის მოადგილე დააკავეს

ISSN 1987-9385

**5** შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.567 ფაქტი გამოავლინა

**5** თბილისში ირანის მოქალაქემ თავი მოიკლა „ირანში მაძევებენ, იქ სიკვდილი მემუქრება“

**5** ქუთაისში ნარკოდანაშაულისთვის 55 წლის ი.ქ. დააკავეს

**6** ამერიკული სამხედრო ხომალდები უკრაინაში 4 მაისამდე შევლენ

# „უცნობმა უღალატა ქართველ ხალხს, სააკაშვილს გაურიგდა და 9 აპრილში ნუ შეგვეჯიბრებიან“

## ლევან ბერძენიშვილი: „ვოლსკი მეორე ხელსაც გვაჩვენებს და შეიძლება პირდაპირ ამოიღოს“

იაგო ნაცვლიშვილი

რას ფიქრობს გია გაჩეჩილაძის (უცნობის) დაფუძნებულ ორგანიზაციაზე და იქ გაჟღერებულ გზავნილებზე? ეთანხმება თუ არა ოპოზიციის გადაწყვეტილებას ჩაშლილ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით? რატომ ფიქრობს, რომ შესაძლოა ევროსაბჭომ სანქციები დაუწესოს საქართველოს? რას ფიქრობს გიორგი გახარიაზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი საუბრობს.

***– უცნობმა დააფუძნა რაღაც ახალი მოძრაობა, სადაც პირდაპირ უპირისპირდება ოპოზიციას და კრიტიკულ მედიას. ეს რა გზავნილია, როდესაც ეს ხდება 9 აპრილს და ხედავთ თუ არა მის უკან ხელისუფლების კვალს?***

– ხელისუფლებამ სცადა ეს უცნობის სახელით, რომელიც ხშირად გამოხატავს სხვადასხვა ხელისუფლების აზრებს. ხელისუფლებამ სცადა, რომ მიითვისოს 9 აპრილი. ეს არის წარმოუდგენელი რაღაცა. ჯერ ერთი, 9 აპრილი ყველასია და გასაგებია, რომ ჩვენ ბრძოლასთან და ჩვენ დამოუკიდებლობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ყველაზე ნაკლებად 9 აპრილთან კავშირი აქვს პოზნერის დამპატიჟებელ და გავრილოვის ჩამომყვან ხელისუფლებას. გასაგებია, რომ რუსეთთან არავინ არ ყოფილა ისეთ მონურ დამოკიდებულებაში, როგორც ეს ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი. არც შევარდნაძის ხელისუფლება და მით უმეტეს, გამსახურდია და სააკაშვილი. ამიტომ 9 აპრილის მითვისება მომღერალ გიას და მის უკან მდგომი ხელისუფლების მიერ წარმოუდგენელია.

შევხედეთ პარასკევს გამართულ აქციას და არ დამრჩა კარგი შთაბეჭდილება. ძირითადად ხელისუფლების დაბალი რანგის მოხელეები იყვნენ თავმოყრილი. შესაძლოა ვიღაცა გულწრფელიც იყოს და თქვას, რომ ამ ხელისუფლებას მხარს უჭერს, მაგრამ ამისთვის 9 აპრილი არ არის საჭირო. 9 აპრილის ამბავში ნუ შეგვეჯიბრებიან. მონაწილეები ვინც ვართ, კარგად ვიცით, რა მოხდა, როგორ მოხდა და როგორ იქნებოდა, ბიძინა ივანიშვილის ინტერესები რომ ყოფილიყო. ისიც კარგად ვიცით, საქართველოში როგორ იქცეოდნენ 9 აპრილს ისინი, დღეს რომ დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

***– გახარიას გულისხმობთ?***

– ყველაზე პოპულარულებში ვისაც ვგულისხმობ, გასაგებია. გახარიაზე უფრო პოპულარულებიც არსებობენ. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ეს ჩვენი ყველას საერთო დღეა. არ ჩანდა უცნობი ამდენი ხანი და როგორც ჩანს, ხან



„გახარია ერთი ვერსიით კრემლის პაიკია, მეორეთი კი, პაიკიც არაა და პაიკის პაიკია“

მაღლა არიან, ხან ქვემოთ და ახლა რაღაც გაუჭირდათ და დახმარების ხელი ითხოვეს. თუ ხელისუფლება ასეთი მოქალაქეების იმედზეა, ძალიან სამარცხვინოა.

***– საინტერესო ფრაზა ახსენეთ უცნობზე საუბრისას სხვადასხვა ხელისუფლებასთან კავშირის კონტექსტში. ანუ სააკაშვილის ხელისუფლებასთანაც იყო კავშირში და ამის ხაზგასმა გინდოდათ?***

– სააკაშვილის ხელისუფლებასთან მოხდა მისი გარიგება. სიხშირის ხათრით მან უღალატა ქართველ ხალხს და ვითომდა თავის იდეალს. ეს ორჯერ ორი ოთხია და დამტკიცებული ამბავია. არა მარტო მან, არამედ მისმა ძმამაც, ამიტომ არა მგონია, რომ ამის შემდეგ მას რამე ესაქმებოდეს პოლიტიკაში.

***– ანუ პრინციპები გაცვალა ფულზე?***

– რაზე გაცვალა, არ ვიცი – ფულზე, გავლენაზე თუ სიხშირეზე ან ტელევიზიაზე. მერე გადააგდო სააკაშვილმა, რომელიც არ იყო ის კაცი, რომ გია უცნობის ჭკუაზე ევლო. ამის გამო ნაწყენები არიან ძმები გაჩეჩილაძეები სააკაშვილზე. სააკაშვილს ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ ეს თუ ასე იყო, კარგი უქნია, მაგრამ ის, რომ გარიგება იყო, ეს ყველასთვის ცნობილია. ამიტომ სიწმინდეებსა და იდეალებზე ლაპარაკი გია გაჩეჩილაძისგან მიუღებელია. ის არ სარგებლობს საზოგადოებაში იმ ავტორიტეტით, რომ ასეთ რამეებზე გავიდეს.

***– ხელისუფლების დღის წესრიგში ოკუპაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები რამდენად არის?***

– რა თქმა უნდა, საკმარისად არ არის. ისიც შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ მთელმა მსოფლიომ მხარი დაუჭირა უკრაინას. საქართველოს პრემიერ-მინისტრს კი ოფიციალური განცხადებაც კი არ გაუკეთებია. ჩვენმა პრეზიდენტმაც კი გააკეთა განცხადება, იმდენად შემაშფოთებელია მდგომარეობა უკრაინაში, მაგრამ საქართველოს მთავრობა არ აკეთებს განცხადებას.

***– პარლამენტმაც მიიღო რეზოლუცია.***

– დიახ, პარლამენტის კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, მაგრამ საქართველოს ხომ ჰყავს პრემიერი, რომელიც ქვეყნის პირველი პირია და მან უნდა თქვას.

***– თქვენთვის რას ნიშნავდა ეს ფაქტი?***

– იმას, რომ მას ეშინია, რუსეთს რაიმე არ აწყენინოს. იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი უფრთხის რუსეთს. მშვენივრად ესმოდა, რომ პოზნერის ჩამოსვლა არ იყო კარგი, მაგრამ ეშინოდა, რომ არჩამოსვლით არ გაენაწყენებინა. ღარიბაშვილი ან რუსეთის აგენტია, ან რუსეთის იმდენად ეშინია, რომ სჯობს, რომ აგენტი იყოს. ცუდი ვითარებაა და გამოსასწორებელია.

თან უკრაინას მხარი არ დაუჭირო, რომელიც შენი ქვეყნის მსგავსად ოკუპირებულია რუსეთის მხრიდან და თან იძახო, 2024 წელს ევროკავშირს მივუკაკუნებო, ეს არ არის სერიოზული პოლიტიკა. როგორ ფიქრობენ, პოლიტპატიმრებიან ქვეყანას შეუშვებენ და სამარცხვინო ერთპარტიული პარლამენტის მქონე ქვეყანას?! ნეტა, სადაც ვართ, იქიდან არ გვისროლონ ამ დღეებში და ამ თვეებში.

***– რას გულისხმობთ, დაფინანსების შეწყვეტას?***

– არა მარტო დაფინანსებას. იმას, რომ, მაგალითად, ევროსაბჭოდან არ გამოგვიშვან. იმიტომ, რომ ძალიან მძიმე რეზოლუცია მზადდება საქართველოს წინააღმდეგ.

***– ქვეყნის მიმართ იქნება სანქციები თუ პერსონალური სანქციები, რაზეც ოპოზიცია საუბრობს?***

– ევროსაბჭოში პერსონალურები არ ხდება ხოლმე. დიახ, იქ ქვეყანას შეიძლება ხმა ჩამოართვან და ა. შ. ქვეყანა იქნება დაზიანებული.

რაც შეეხება იმას, რასაც ოპოზიცია ითხოვს და მეც ვითხოვ, არის ის, რომ პერსონალური სანქციები კარგი იქნება ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახისთვის, ასევე მისი თანამოძმეების გია ვოლსკების და სხვების მისამართით თუ იქნება.

***– ჩაშლილ მოლაპარაკებებში ოპოზიციის პასუხისმგებლობა რამდენია?***

– ხელისუფლების პასუხისმგებლობა 99%-ია, ხოლო ოპოზიციის 1%. იმ 1%-ზე მე არ ვილაპარაკებ, რა აზრი აქვს?! მე, როგორც ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელს, არაფერი არ მეკითხება ამ ქვეყანაში. როგორიც მაქვს ხმები, იმის კიდევ მეათასედი მაქვს გავლენა.

მე ევროპას ჭკუას ვერ ვასწავლი და როდესაც ისინი ორივე მხარის პასუხისმგებლობაზე საუბრობენ, კი ბატონო, ოღონდ მოგვცენ რამე საპასუხისმგებლო და დავინახოთ, რომ ხელისუფლებამ რაღაცა მაინც მოგვცა იმისთვის, რომ ლაპარაკი იყოს დაწყებული.

***– გამოსავალი რაში მდგომარეობს?***

– გამოსავალს ვხედავ, რომ იქნება ადგილობრივი არჩევნები და ეს მთავრობა ქართველმა ხალხმა არ უნდა აირჩიოს. გამოსავალი ყოველთვის არსებობს.

***– თუ ისევ გააყალბებენ?***

– გააყალბოს, რამდენიც უნდა. თუ ხალხს უნდა, არაფერი გამოუვათ. გახსოვთ, შევარდნაძემ ადგილობრივი არჩევნები რომ წააგო? როგორ ფიქრობთ, გაყალბება არ უნდოდა თუ შერცხვებოდა, მაგრამ იმხელაზე წააგო, რამხელაზეც უნდა წაეგო.

***– აქციებს არ უყურებთ იმედის თვალით?***

– აქციები თავის საქმეს გააკეთებს, მაგრამ აქციებით დამხობილი მთავრობა მე ჯერ არ მინახავს. რევოლუცია თუ შემთხვევით მოხდება, ეს შეუძლია ბიძინამ გააკეთოს მარტო. ჩვენზე არ არის დამოკიდებული. რევოლუციებს ხელისუფლებები აწყობენ ხოლმე სულელური და ბრიყვი მოქმედებებით. მე მგონია, რომ ხელისუფლების დასამხობად ჩვენ გვაქვს შესანიშნავი მექანიზმი. რახან არ გვინიშნავენ პლებისციტს, ჩვენ არჩევნებით მოვუგოთ.

მაგრამ კაცი რომ უცნობის დაძახებულზე გამოვა, მე იმ კაცის არ მჯერა. გახარიას რომ ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, მე არ მჯერა და, სხვათა შორის, არც იმ მორწმუნეების მჯერა, ქვეყანაში ყველაზე პოპულარული საქართველოს პატრიარქი რომ არის. იმიტომ, რომ არ ეკუთვნის. ამ ქვეყანაში ილია ჭავჭავაძე არ იყო ყველაზე პოპულარული და არ ეკუთვნის პატრიარქს არც თავისი მოღვაწეობით, არც იმით, რაც ახლა ხდება ეკლესიაში და არც იმით, რაც 1989 წლის 9 აპრილს ჩაიდინა, როდესაც მიგვატოვა და თქვა, რომ რუსები მოდიან, დაგვხოცავენ და მე წავედიო. არ ეკუთვნის, მაგრამ ასეთი ქვეყანა ვართ, ამიტომ სწორი გადაწყვეტილები უნდა მივიღოთ.

დასავლეთი დაგვეხმარება, რუსეთს არავინ ჩააბარებს ამ ქვეყანას. ამერიკას ამდენი ფული იმიტომ არ დაუხარჯავს, რომ ერთმა ბიძინამ რამე გადაწყვიტოს. მას შემდეგ, რაც გია ვოლსკიმ გვაჩვენა, ჩვენზეა დამოკიდებული, ვოლსკის და მის მომხრეებს ავირჩევთ თუ არა. თუ კიდევ თავზე დავისვამთ, მეორე ხელსაც გვაჩვენებს და შეიძლება პირდაპირ ამოიღოს და ისიც გვაჩვენოს.

***– გახარიას პოლიტიკაში შემობრუნებას როგორ უყურებთ და უნდა ითანამშრომლოს თუ არა მასთან ოპოზიციამ თუ დაინახავენ, რომ ბიძინასთან არ არის?***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „უცნობის“ აქცია სინამდვილეში სპეცოპერაცია იყო“

მარიამ მჭედლიშვილი

ახალი შეზღუდვების დაანონსებამ მაისის პირველ დეკადაში გაღატაკებამდე მიყვანილი საზოგადოება საგონებელში ჩააგდო. უმძიმეს მდგომარეობაშია კერძო სექტორი, რომელიც წინა ლოკდაუნების შოკიდან ვერ გამოსულა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.

***– სააღდგომო დღის წესრიგი ჯერ არ გარკვეულა, თუმცა, ცნობილია, რომ ხელისუფლება ახალ არდადეგებს აცხადებს 11 მაისის ჩათვლით აღდგომის შემდეგ. 15 მაისზე ჯერ არაფერი თქმულა. ამ დღეს ოპოზიციას საპროტესტო აქცია აქვს დანიშნული.***

– დიახ, ახალ უქმეებს გვიწესებენ. ისედაც რა მდგომარეობაში იყო ხალხი და ახლა მთლად ულუკმაპუროდ დარჩა. ასეთ დროს რომ არდადეგებს აცხადებ, რას უშვრები კერძო სექტორს? რას უკეთებ წვრილ ბიზნესს? თვითონ ხომ არიან მშვენივრად!

***– ხელისუფლებას გულისხმობთ?***

– ხელისუფლებას და მის გარემოცვას. ბიუჯეტიც მაგათია, ბიუჯეტიდან მოპარული ფულიც, შემოსავლებიც უსამართლო ტენდერებიდან. ეს ჯგუფი ხრავს მთელ თანხებს იმ დროს, როცა მშრომელები, წვრილი და საშუალო ბიზნესმენები თავს არ ზოგავენ. თუმცა, მაინც გაკოტრებამდე არიან მიყვანილი.

***– ბევრ ადამიანს კრედიტი აქვს აღებული.***

– რასაკვირველია. ეს ხალხი პატიოსნად ფარავდა კრედიტებს, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ ვალის გადახდა კი არა, ოჯახის გამოკვება გაუჭირდა. მეორე მხარეს არიან ბიუჯეტის ქურდები და ეკონომიკის დამანგრეველები. ეკონომიკის განადგურება რუსეთის გეგმაა. ამიტომ, ვამბობ, რომ რუსეთს ჩვენი ტერიტორიების მარტო 20% კი არა, დანარჩენი 80-ც ოკუპირებული აქვს.



შოთა მალაშხია: „დაუსრულებელი შეზღუდვები ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება“

***– საქართველოს ეკონომიკის უდიდესი ნაწილი რუსეთის ხელშია.***

– რუსეთი ისედაც ბევრ რამეს ფლობს. ახლა ის პროცესი მიდის, რომ გაკოტრებული ობიექტები ჩალის ფასად გადავიდეს ადგილობრივი ბიუჯეტის ქურდებისა და რუსეთის ხელში. ზოგიერთი ქართული გვარის უკან ხშირად რუსეთი დგას.

***– დიდი პრივატიზაციაც ხომ იგეგმება?***

– მე მთლიანობაში ვლაპარაკობ. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ რუსეთი დაეპატრონოს როგორც ლოკდაუნით დასუსტებულ და იაფად გაყიდულ ბიზნესებს, ისე დიდ ობიექტებს. გარკვეული ქონება – მიწები, შენობები აქამდეც იყიდებოდა სიმბოლურ ფასად.

***– თქვენი ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალი ლოკდაუნი ეკონომიკის დანგრევას ემსახურება? დაანონსებულ პროტესტსაც შეეშლება ხელი?***

– პანდემიის ახალ-ახალ ტალღებს რომ აანონსებენ, კიდევ უქმეებს აწესებენ, რა გააკეთეს ამ პირობითად მეცხრე ტალღის შესაჩერებლად?! როგორ მოემზადნენ საკურორტო სეზონისათვის? ზამთარში ეკონომიკა ნულზე დასვეს. ადამიანებმა გახსნეს ახალი სასტუმროები. მათ ამუშავებას საშველი არ დაადგა. დაზარალდნენ მოვაჭრეები, ბავშვთა გასართობი ცენტრების, კაფეების, რესტორნების მეპატრონეები, გიდები. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ეს ადამიანები ყიდულობდნენ გაზეთებს. ახლა იმაზე ფიქრობს კაცი, გაზეთი იყიდოს თუ პური. ის ყიდულობს პურს და იძულებულია უარი თქვას სულიერ საზრდოზე, გაზეთში დაბეჭდილ ინფორმაციაზე. ვაქცინაციაც ვერ მოახერხეს. იმას არ ვამბობ, რომ ისრაელივით მოსახლეობის 80% უნდა აეცრათ. არა, მაგრამ რაღაც სასარგებლო ხომ უნდა გააკეთო, როცა ხალხი გეხოცება კოვიდ-19-ით, უჭმელობით, ნერვიულობით. ამ ხელისუფლებას ეძახიან უნიათოს. ამას არ ვეთანხმები. უნიათოები არ არიან, როცა საქმე ეხება საკუთარ კეთილდღეობას და რუსეთის ინტერესებს.

***– პროტესტსაც ებრძვიან?***

– ცხადია. დაუსრულებელი შეზღუდვები ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება. ნამახვანჰესის მშენებლობას ბევრი ადამიანი ეწინააღმდეგება. ხელისუფლებამ ყველაფერი ჩაკეტა და რიონის ხეობაში ხალხს სახლებში არ უშვებს. ხელისუფლება ბევრი პროტესტის წინაშე დგას. ხალხი მარტო ჰესს არ აპროტესტებს. საქართველოს მოსახლეობის ნახევარი შიმშილის ზღვარზეა. გაზაფხულზე ადამიანებს უფრო გაუჭირდათ, იმიტომ, რომ მარაგი გაუთავდათ, პირველადი მოხმარების პროდუქცია კი უკიდურესად გაძვირდა. მალე დაფინანსების პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით. ეს ყველაფერი მოიტანს აფეთქებას.

***– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აფეთქებას კი არა, ოპოზიციის დაშლის შეუქცევად პროცესს ელიან. ეს მათ „ევროპული საქართველოს“ დაშლის შემდეგ განაცხადეს.***

– რა შუაშია ამ პარტიაში მომხდარი შიდა ცვლილებები მთელი ოპოზიციის დაშლასთან?! იქ შიდა პროცესებია, განახლება მიდის. „ევროპული საქართველო“ არასდროს გამორჩეოდა მაღალი რეიტინგით. არ მესმის, რა უხარიათ მმართველ პარტიაში? ვინც „ევროპული საქართველო“ დატოვა, ისინი ხელისუფლების მხარდამჭერები არ გამხდარან. შეიძლება ითქვას, რომ არ დაშლილან – გაიშალნენ. მთავარი ისაა, რომ ამ სამარცხვინო პარლამენტში არავინ შედის.

***– დარწმუნებული ხართ, რომ პარლამენტში არავინ შედის? ოპოზიციაში სხვა პარტიებიც არიან.***

– არა მგონია. ისე, ორი-სამი კაცი რომც შევიდეს, ამით სურათი არ შეიცვლება. ასეთები კი „ქოცებზე“ უარესები გახდებიან. შესულმა ოპოზიციამ ქვეყანას რა არგო? აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ ვითომ ოპოზიციონერებმა თავი შეირცხვინეს. სხვებიც რომ შევიდნენ, ამით სარგებელს არ მოიტანენ – არც რეფორმები გატარდება, არც სტაბილურობა დადგება. ასეთი ნაბიჯი უზნეოც იქნება, უპრინციპოც და არაპრაგმატულიც. ასეთი ოპოზიცია „ქოცებშიც“ ვერ შევა. ამ კატეგორიას არც დააფინანსებენ.

***– გია გაჩეჩილაძე (უცნობი), რომელმაც 9 აპრილს აქცია-მსვლელობები მოაწყო, რა ნიშას დაიკავებს? ის აფუძნებს საზოგადოებრივ მოძრაობა „აი იას“, რომელიც მერე ალბათ პარტიად გადაკეთდება.***

– „უცნობის“ აქცია სინამდვილეში სპეცოპერაცია იყო. მას სუსი ეხმარებოდა. სად გაგონილა ოპოზიციის საწინააღმდეგო ოპოზიციის შექმნა?!

***– საქართველოში ეს არ გვიკვირს.***

– ეს იყო უსუსური და სასაცილოდ პათეტიკური სანახაობა. გაჩეჩილაძე ოპოზიციას ვერაფერს დააკლებს. კარგია, რომ „აი იას“ აფუძნებს. ამ სფეროში წერა-კითხვის სწავლა პირადად მას გამოადგება.

***– დაფინანსების შესაძლო შეწყვეტა ახსენეთ. ფიქრობთ, რომ ევროკავშირი მართლა შეწყვეტს საქართველოსთვის ფინანსურ დახმარებას?***

– დახმარება შეწყდება. ეს გარდაუვალია. ამის შესახებ გაგვაფრთხილეს. ამას მოჰყვება პერსონალური სანქციები.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალუაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ მერიძე
გაყიდვების სამსახური – ზურაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარია-კალაძე-კობახიძის გასარკვევი იქნება, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებზე“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ევროპული საქართველო“ უფრო და უფრო უკან დაიხევს“



ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

***— ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე პროცესებს? ევროპული საქართველო პარტიის სახეებმა და ლიდერებმა დატოვეს, პარტიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. რა გითხრათ თქვენ ამ პროცესმა? წარუმატებლობის მიზეზების ძიება ხომ არ დაიწყო?***

— გუშინ სერიოზული რამე მოხდა, თუმცა არაფერი მოულოდნელი და განსაკუთრებული. ნებისმიერი სერიოზული პოლიტიკური ძალა, არჩევნების შემდეგ ახდენს გარკვეულ გადაფასებას თავის პოლიტიკისას. ასე მოუვიდა ჩემს პარტიასაც, რესპუბლიკურ პარტიას. ამაში მიუღებელი არაფერია და არც უცნაური. თუმცა მტკივნეულია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ნაცმოძრაობაშიც იყო პრობლემები და წამოვიდა იქიდან გრიგოლ ვაშაძე. აგერ „ქართული ოცნება“ სულ ირღვევა და ირღვევა. რა თქმა უნდა, გუშინდელი მოვლენაც მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი ცნობილი ადამიანებისა წამოვიდა პარტიიდან და მათ შორის ბევრი არ აპირებს პოლიტიკური, ანუ პარტიული საქმიანობით დაკავებას. ეს ძალიან ცუდის ნიშანია ჩემთვის.

***— თავიდან საუბრობდნენ, რომ თითქოს ნაცმოძრაობას შეუერთდებოდნენ, თუმცა, როგორც ჩანს, არ შეეფერება სინამდვილეს.***

— დიახ, აღმოჩნდა, რომ არა. წამოსულებიდან ვინც გამოვიდა და გააკეთა განცხადება, აშკარად მინიშნება იყო ერთ ადამიანზე, გიგა ბოკერიაზე. ბოკერია ყოველთვის ცნობილი იყო თავისი კატეგორიულობით, რადიკალურობით, ავტორიტარული გადაწყვეტილებებით.

***— დიქტატორია საკუთარ პარტიაში?***

— სიტყვა დიქტატორი, შესაძლოა, ცოტა ხმამაღალი ნათქვამი იყოს, მაგრამ ავტორიტარული მმართველობის სტილი აქვს, კატეგორიულია, ზედმეტად ჯიუტია. ეს პარტია ალბათ ძალიან რადიკალური გახდება. საკითხავია, წარმატებას მიაღწევს თუ არა დარჩენილი ევროპული საქართველო? თავმჯდომარედ დაინიშნა ბოკერია. 4%-მდე იყო ამ პარტიის წარმატება და ეს პროცენტები გაიზრდება ბოკერიას ხელში? ჩემი აზრით, პირიქით, ქვევით ჩავა.

***— ბოკერია წამგებიანი ფიგურააო და მან ერთი პერიოდი ჩრდილში გადაინაცვლა, ახლა ისევ წინა პლანზე წამოვიდა. ეს არ დააზარალებს პარტიას?***

— სრულიად გეთანხმებით. ბოკერიას ეტყობა, აიძულებდნენ ჩრდილში ყოფილიყო, თუმცა პარტიამ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია, ამიტომაც მან შეცვალა მიდგომა. გვერდზე გაწია პარტიის ლიდერები და მათი ლიბერალური პოლიტიკა და თავისი რადიკალიზმით წამოვიდა წინა პლანზე. მიაღწევს კი ამ რადიკალიზმით ბოკერია წარმატებას? მე ეჭვი მეპარება. ამიტომ ევროპული საქართველო უფრო და უფრო უკან დაიხევს.

***— წასულები ალბათ მიხვდნენ, რომ საზოგადოებას აღარ უნდა ძველი სახეები, დაიღალა.***

— შესაძლოა წასულები მიხვდნენ, მაგრამ პარტიაში დარჩენილები ვერა, რადგან მათ ბოკერია აირჩიეს თავმჯდომარედ, ხოლო წასულები ახალი პარტიის შექმნას არ აპირებენ, გაიფანტებიან. ამ პარტიაში რადიკალიზმმა გაიმარჯვა.

***— 9 აპრილის აქციაზე რას იტყვით? უცნობის ინიციატივით საზოგადოება შეიკრიბა. ბევრმა გააკრიტიკა უცნობი, რატომ 9 აპრილიო? რას იტყვით თქვენ?***

> **„გახარიას ყოველი ნაბიჯი პოლიტიკურია და ის საარჩევნო კამპანიის ნაწილია. ზვიად გამსახურდიას საფლავზეც ხომ სამეგრელოს გულის მოსაგებად ავიდა“**

— უცნობის ფენომენი მართლა ვერ ამოვხსენი. მართლა უცნობად დარჩება ბოლომდე. ძალიან სამწუხარო რამე გააკეთა მან, როდესაც 9 აპრილს დაამთხვია ეს ყველაფერი. ჩვენ, ქართველებს, სამწუხაროდ, ერთადერთი დღე გვაქვს ერთობის დღე. 9 აპრილი არის ერთადერთი თარიღი, საქართველოს უახლეს ისტორიაში, როდესაც ეჭვი არავის ეპარება, სრული კონსენსუსია საზოგადოებრივი. დაიღვარა წმინდა სისხლი, უდანაშაულო ადამიანების სისხლი, რომელიც შეეწირა საქართველოს. საქართველო კი ამით წინ წავიდა, დიდი ნახტომი გააკეთა. ეს დღე ჩვენთვის არის როგორც ტრაგიკული და მტკივნეული, ისე საზეიმო. ეს ყველაფერი კი ქართველთა ერთობამ გააკეთა. უცებ მოდის უცნობი და ამ ერთადერთ დღეს ხლეჩს.

***— არასწორი იყო, როდესაც ეს დღე აირჩია?***

— დიახ, არასწორი იყო. სუნიანებიო, თითქოს თავის საკნები რომ ჰქონდა, ის არ იყო სუნიანი. ცოტა არ იყოს, ძალიან არაკორექტულად მოიქცა. 9 აპრილს ყველა ვიკრიბებით პარლამენტის წინ და მან ხალხი შეკრიბა ევროპის მოედანზე. მე ევროპის მოედნის არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს, სიმბოლური მოედანია, მაგრამ 9 აპრილს ყოველთვის პარლამენტის წინ ვიკრიბებოდით. ანუ მან გახლიჩა 9 აპრილის ცნობიერება. მან მოინდომა, რომ ეს ერთიანობის დღე გაეხლიჩა.

***— საზოგადოებრივ მოძრაობას ვაფუძნებო და ანუ თავიდანვე შეცდომებით დაიწყო?***

— რა თქმა უნდა, შეცდომებით დაიწყო. ასევე შემოაგდო რაღაც ლეგენდა, პატრიარქს ებრძვიანო და თუ ასეა, ჰაერზე კი არ უნდა ილაპარაკოს, ეს უნდა დაასაბუთოს. ასე ჰარიჰარალოზე წამოსროლილი სიტყვები, ისევ და ისევ საზოგადოების გახლეჩის კონცეფციაა და მეტი არაფერი. მისი მხრიდან ეს არის ძალიან უსინდისო და ამორალური ქცევა. თორემ ყველამ იცის, რომ მე ნაციონალური მოძრაობა გულზე არ მეხატება და საკმაოდ მკაცრადაც ვაფასებ მათ. თუმცა 9 აპრილს ამის კეთება და თანაც პატრიარქის სახელის გამოყენება, ეს ამორალური საქციელია! ასევე სახელი, ეს აია თუ აი ია, რა არის, ტრადიციულ ღირებულებებს რომ აჯდება?! სიღარიბეზე ესაუბრა, ეკონომიკის გადარჩენასა და ვაქცინაციაზე. რა დროს აი იაა?! აი ია არის სკოლაში, პირველ კლასში და ჩვენ ვამაყობთ ამითი. რას გვთავაზობს, ვაქცინის ნაცვლად აი იას? სიღარიბის ნაცვლადაც აი იას?! იმის ნაცვლად, რომ არსებული პრობლემები წინ წამოწიოს, რაღაც ტრადიციულ, სადღეგრძელოს დონის ღირებულებებს გვთავაზობს.

***— რას იტყვით „ქართული ოცნების“ შიგნით მიმდინარე პროცესებზე, საუბარია, რომ იქაც დიდი დაპირისპირებაა.***

— დაპირისპირებას რაც შეეხება, რასაც გარედან ვადევნებ თვალს და ვხედავ ესაა. შიდა ინფორმაციები არ მაქვს. აშკარაა, რომ დაპირისპირებაა. „ოცნებიდან“ რომ წამოვიდნენ გახარია და მაია ცქიტიშვილი, სახლში კი არ წასულან, პოლიტიკაში დარჩნენ. გახარია საკმაოდ მკაფიოდ აქტიურობს სწორედ ოპოზიციურ ფლანგზე. ოპოზიციურ პოზიციებს აჟღერებენ. გახარიას ყოველი ნაბიჯი პოლიტიკურია და ის საარჩევნო კამპანიის ნაწილია. ზვიად გამსახურდიას საფლავზეც ხომ სამეგრელოს გულის მოსაგებად ავიდა. სხვა დროს როდის ასულა იქ?! ყველანაირად ცდილობს, საზოგადოების თვალში ქულები ჩაიწეროს. დღეს, გახარია, ძალოვნებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ პარტიას ქმნის. მის გვერდით ჯერჯერობით ძალოვანი უწყებებიდან წამოსული პირები არიან.

***— ასევე ძმები არველაძეები გამოჩნდნენ მის გვერდით. ესეც საინტერესო დეტალი იყო ალბათ.***

— აბსოლუტურად ზუსტი და ბრწყინვალე შენიშვნაა. აშკარად ჩანს, რომ გახარია ქმნის პოლიტიკურ ცენტრს. იქ აუცილებლად იქნებიან პოპულარული სახეები. მე მივესალმები გახარიას შემოსვლას პოლიტიკაში, ის დამატებითი ძალა იქნება და ხმებს წამოიღებს დღევანდელი კობახიძის ცენტრიდან. ის ჩაუჯდება „ქართული ოცნების“ ხმებს და გაყოფს. როდესაც გახარიასა და კობახიძეზე ვსაუბრობთ, მესამე ფიგურაზეც უნდა ვილაპარაკოთ. დიდი მნიშვნელობა აქვს საით გადაიხრება მესამე ფიგურის ჩრდილი.

***— ვინ არის მესამე?***

— ეს მესამე ფიგურა კალაძეა. ივანიშვილი საჯაროდ ველარ გამოჩნდება, რადგან მისი გამოჩენა ანეკდოტური იქნება. ძალიან დააზარალებს მის გუნდს. მან თქვა, რომ მიდის და ამიტომ ველარ დაბრუნდება. ამიტომ კალაძე საით წავა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის პოპულარულია. ასევე გახარიაც პოპულარულია. ძალიან ლოგიკური იქნება თუ არჩევნების დროს ისინი ერთად იქნებიან. ძალიან საინტერესო პროცესები გველოდება ადგილობრივ არჩევნებზე. ბევრი რამ გამოიკვეთება და შეიცვლება. ძალიან სამწუხაროა, რომ ოპოზიცია ასპარეზს თმობს. ოპოზიცია ხელიდან დიდ შანსს უშვებს. გახარია-კალაძე-კობახიძის გასარკვევი იქნება, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებზე. ხოლო ოპოზიცია ამ პროცესს ეთიშება ოპოზიციისვე დამსახურებით.

# „ჩვენ თუ პარლამენტში შევალთ, 2024 წელსაც გაყალბდება არჩევნები“

## მურმან დუმბაძე: „იაგო ხვიჩიას პარლამენტში შესვლით თუ სიტუაცია ჩიხიდან გამოვა და პოლიტიკური რეალობა შეიცვლება ქვეყანაში, დაე, შევიდეს“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო მურმან, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით ოპოზიცია ვერ შეძლებს მასობრივ პროტესტს. შესაბამისად, ერთადერთი შანსი პარლამენტში შესვლაა?***

— პანდემიასთან მიმართებით ხელისუფლება უსუსურია. არის პატარა სახელმწიფოები, სადაც ვაქცინაციის მეორე ეტაპი დაიწყო. ჩვენთან კი 20 ათასი ადამიანია ვაქცინირებული, რაც დაახლოებით ისეთია, შავი ზღვიდან ერთი წვეთი რომ ამოიღოთ. ხელისუფლებამ პრაქტიკულად ჩააგდო ვაქცინაცია. ვერ იმუშავა მოქალაქეებთან. ეს უკვე ფაქტია. ამ დროისთვის ერთი მილიონი ადამიანი მაინც უნდა იყოს აცრილი.

მეორე საკითხი: მე არასდროს მითქვამს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრი პარლამენტში არ შევიდეს. აქ საქმე ისაა, რომ უნდა შევიდეს მოქალაქეების ხმების რაოდენობის პროპორციულად. 52% ოპოზიციამ მოიპოვა, მხოლოდ 48% მიიღო „ქართულმა ოცნებამ“. შევალთ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციიდან იქნება შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, პრემიერ-მინისტრი, ისე, როგორც ეს ეკუთვნის გამარჯვებულ ძალას. თუ ჩვენ, დღეს პარალმენტში შევალთ და თანამშრომლობას დავიწყებთ, გარანტიას გაძლევთ, 2024 წელს ისევ გაყალბდება არჩევნები, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში.



***— არ არის გამორიცხული, რომ ამ კვირაში რაღაც სიახლე მოხდეს, აცხადებს იაგო ხვიჩია. ის ასევე ამბობს, რომ უახლოეს დღეებში მიიღებენ გადაწყვეტილებას. შეიძლება ოპოზიციის რაღაც ნაწილი პარლამენტში შევიდეს. ეს არ დაგასუსტებთ?***

— არა. ვერ დაგვასუსტებს. ალეკო ელისაშვილი შევიდა, მაგრამ ამით ოპოზიცია ხომ არ დასუსტებულა?! საქართველოს მოქალაქე არ ცნობს ამ არჩევნების შედეგებს. არავინ ამბობს, „ქართული ოცნება“ უნდა გავაქროთ, ის უნდა იყოს, მაგრამ ოპოზიციაში და არა ხელისუფლებაში.

იაგო ხვიჩიას პარლამენტში შესვლით თუ არსებული ჩიხური სიტუაცია ჩიხიდან გამოვა და პოლიტიკური რეალობა შეიცვლება ქვეყანაში, დაე, შევიდეს, მაგრამ ხომ დანამდვილებით ვიცით, რომ არაფერიც არ შეიცვლება. კრიზისის ამოწურვის ერთადერთი გზა პარლამენტში არ შესვლაა.

აჭარის უმაღლეს საბჭოშიც იგივე მდგომარეობაა. მედეა ვასაძე გახდა უმაღლესი საბჭოს წევრი, მაგრამ არ შედის. იაგო ხვიჩია პოლიტიკაში სამი თვის წინ მოვიდა. ჩვენ, 30 წელია პოლიტიკაში ვართ. მედია ვასაძეც შევა პარლამენტში. ისიც ისარგებლებს მანქანის მომსახურებით, ისიც გახდება კომიტეტის თავმჯდომარე, ისიც მიიღებს ხელფასს, მაგრამ ამით პოლიტიკური კრიზისი განიმუხტება? ვეკითხები იაგო ხვიჩიას, ამით კრიზისი მოიხსნება?!

***— ამასობაში ხელსა და თვალს შუა ეცლება ოპოზიციას რეიტინგი.***

— არა, გამოკითხულთა ნახევარი ვადამდელი არჩევნების მომხრეა. მართალია, ბოიკოტს გამოკითხულთა ნახევარი არ ეთანხმება, მაგრამ მეც არ ვეთანხმები ბოიკოტს. მეც პარლამენტში შესვლა მირჩევნია, მაგრამ ერთი პირობით, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდება. ბოიკოტი საშუალებაა ვადამდელი არჩევნების მოსაპოვებლად, მეტი არაფერი.

***— ნიკა მელიას თუ გამოუშვებენ, ამით შეიცვლება რამე?***

— ნიკა მელიას გამოშვება არის აუცილებელი პირობა პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლისთვის, მაგრამ არა საკმარისი. ნიკა მელიას გამოშვება და ვადამდელი არჩევნები ერთი საკითხია და არა ორი.

***— ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებს როგორ შეაფასებთ? როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება გადალაგება, გამოცდილი პოლიტიკოსების წასვლა?***

— ეს ცოცხალი პროცესია. „ევროპული საქართველოდან“ ყველაზე გამოცდილი ლიდერები პარტიიდან გავიდნენ, მაგრამ პოლიტიკიდან არ წასულან. ეს უფრო შიდა სამზარეულოს ნაწილია. თუმცა, იმ შედეგით, რაც პარტიამ აჩვენა, ბუნებრივად მოხდებოდა ეს პროცესი. პოლიტიკოსები არიან, გამოცდილი ხალხია, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა.

***— და რა მოხდა?***

— ძალიან ცუდი შედეგი დადეს, თბილისში მეშვიდე ადგილზე გავიდნენ. მათი სტრატეგია – მუშტი ბიძინას და იდაყვი მიშას – არ მუშაობს. არავითარი მესამე ძალა არ შეიქმნება.

***— ვერც გახარია ვერ შექმნის?***

— ვერა, გამორიცხულია. ორი პარტია, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ 50%-ზე მეტს აგროვებენ. რაც არ უნდა მესამე ძალა შეიქმნას, 50%-ზე მეტს ხომ ვერ მიიღებს.

***— გახარია „ქართულ ოცნებას“ ხმებს ვერ წაართმევს?***

— კი წაართმევს, მაგრამ ჯამურად მისი ხმები და „ქართული ოცნების“ ხმები რამდენი იქნება, 50%-ზე მეტი მაინც ხომ ვერ იქნება. გახარიამ კოალიცია უნდა შექმნას ან „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ან „ქართულ ოცნებასთან“, რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, სხვა ვარიანტი არ არის.

***— დაახლოებით 60% რომ არის სიახლის მოლოდინში, რომელსაც არც ერთი მოსწონს და არც მეორე?***

— დიახ, მაგრამ საარჩევნო ურნასთან ეს ხალხი სხვანაირად იქცევა. გამოკითხვისას მოქალაქეები სწორ ინფორმაციას არ იძლევიან.

# „უცნობმა უღალატა ქართველ ხალხს, სააკაშვილს გაურიგდა და 9 აპრილში ნუ შეგვეჯიბრებიან“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

— პოლიტიკაში მუდმივი არაფერია და არაფერს გამოვრიცხავ, მომავალში ვინ ვისთან შეიძლება ითანამშრომლოს. მე არავითარი ხალისი არ მაქვს გახარიასთან თანამშრომლობის და მეეჭვება, რომ ვინმეს ჰქონდეს. მაგრამ ერთ რამეს შეგახსენებთ. როდესაც სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილის საგარეო მინისტრობიდან გადადგა, ნახევარი საქართველო მივიდა მასთან და ეგონათ, რომ დიდი ლიდერი იქნებოდა, მაგრამ მერე რაც მივიღეთ აქედან, დასკვნა თქვენთვის მომინდია. გახარიაზეც დიდი იმედები აქვთ, მაგრამ დიდი პერსპექტივა მას არ აქვს. იმიტომ, რომ ეს არის კაცი, რომელმაც მაკო გომურს თვალი წაართვა.

***— ბიძინას არ ხედავთ მის უკან?***

— რამდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, არ ვიცი. შეიძლება არ იყოს ბიძინა და უარესიც იყოს. შეიძლება კრემლის სხვა კაბინეტიდან იყოს მართული, მაგრამ შეიძლება მე და თქვენ უკან წავიღოთ ეს სიტყვები, ისე დაგვარწმუნოს ამ კაცმა თავის სიმართლეში. აქედან ასე ჩანს, ჩანს, რომ ჩვეულებრივი მკვლელია, რომელმაც ბავშვს თვალი ამოსთხარა. ბოდიშიც კი ვერ მოიხადა გულწრფელად. ხალხი, რომლის წინააღმდეგაც პოლიციამ მხეცურად იმოქმედა, დამნაშავეებად ეს ხალხი გამოცხადდა და არც ერთი პოლიციელი არ მიუციათ პასუხისგებაში.

თუ ვინმე იმედიანად არის განწყობილი, რომ ჩვენს პოლიტიკას ასეთი ვარსკვლავი გაანათებს, მე ასეთი არ ვარ. თუმცა, მომავალში ვერავინ ვერ განჭვრეტს. ახლა გახარიას გონიერება რომ არ აკლია, რად უნდა ამას ლაპარაკი. უჭკუო კაცი ნამდვილად არ არის, მაგრამ პოლიტიკას არ ჰყოფნის ეს და ცოტა მეტია საჭირო.

კარგია, რომ გადადგა, მაგრამ გადადგა სხვა ნაბიჯების გამო. გვითხრას, რას ფიქრობს, ნუ რცხვენია. ასეთი ადამიანები მიდიან და მოდიან. თუ ერთხელ მაინც იყავი პაიკი... მარტო ჭადრაკში ხდება, როდესაც პაიკისგან ლაზიერი გამოდის. თუ ერთხელ მაინც იყავი ბიძინას პაიკი, ანუ პაიკის პაიკი, მერე იქიდან სერიოზული დასკვნის გაკეთება რთულია. ბიძინას პაიკი თუ იტყვის, რომ მე არ გამიცია ბრძანება და მე არავინ მეკითხებოდაო, თუ ამას იტყვის, სამარცხვინო კაცია.

***— პაიკის პაიკი რატომ, ბიძინაც პაიკია?***

— ბიძინა პუტინის პაიკია. ეს ერთი ვერსიით კრემლის პაიკია, მეორე ვერსიით კი, პაიკიც კი არ არის და ეპაიკება რუსეთს. ეს კიდევ უარესი ვარიანტია. ბიძინა რომ ქვეყანას თავზე მოაჯდება, ის ქვეყანაც პაიკობისკენ მიდის.

მაგრამ არა უშავს, ეს ქვეყანა, ბიძინას გარდა, რუსთაველის ქვეყანაცაა. ჩვენ კი გვეშველება, მაგათ იკითხონ.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „არ შევეგუებით ქვეყნის კიდევ ჩაკეტვას“

იაგო ნაცვლიშვილი

ისევ ხომ არ მოუწევს ოპოზიციას აქციის გადადება და აქვთ თუ არა მოლოდინი, რომ ბევრი ხალხი მივა? რას ფიქრობს იმაზე, რომ შესაძლოა ქვეყანა მორიგ ჯერზე ჩაიკეტოს? და რატომ თვლის, რომ ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა საუბრობს.

***– აქცია გაქვთ დაგეგმილი 15 მაისს. ადრეც აპირებდით, თუმცა პანდემიის გამო გადადეთ. იზრდება ინფიცირებულთა რაოდენობა და ამჯერადაც ხომ არ მოგიწევთ გადადება?***

– აქციები თვითმიზანი არ არის, როდესაც ქვეყანა იმყოფება დიდი გამოწვევების წინაშე. მაგრამ, როდესაც ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური თუ გეოპოლიტიკური პრობლემებია და რისკის ქვეშ დგას ჩვენი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა, მაშინ ხალხმა უნდა დააფიქსიროს საკუთარი ნება. ამიტომ ოპოზიციის პოზიციონირება კი არ უნდა მოხდეს ამ აქციებით, არამედ ხალხის ნება უნდა იყოს გამოხატული.

***– გამოხატავს ხალხი თავის ნებას?***

– აუცილებელია. კრიტიკულ სიტუაციაში ხალხი ყოველთვის გამოხატავდა თავის ნებას და მას უკან არასდროს არ დაუხევია. არც ერთი დრო არ ყოფილა, როდესაც, თუნდაც საბჭოთა ოკუპაციის დროს, თავისუფლებისთვის ბრძოლა არ ყოფილიყოს.

***– თუმცა, ერთგვარი ორთქლის გამოშვების შესაძლებლობას დღეს იძლევა სოციალური ქსელები და მანდ ხომ არ მოხდა ჩანაცვლება?***

– გარკვეული როლი სოციალურ ქსელებსაც გააჩნია, მაგრამ არის ჟამი, როდესაც არა სოციალურ ქსელებში აქტიურობის ან რეფერენდუმის საშუალებით ხდება პოზიციის გამოხატვა, არამედ ფიზიკური დგომაა საჭირო, რათა ხალხის ნება სწორად იყოს აღქმული და შედეგებში იყოს გამოხატული. მე ვფიქრობ, რომ ეს ჟამი დგას დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე.




## გიორგი გუგავა: „თუ მონობაში გვინდა ყოფნა, მაშინ ზედ გამოწერილია ივანიშვილი“

***– ასე დგას საკითხი, რომ ყოფნა-არყოფნის წინაშეა დღეს საქართველო?***

– რა თქმა უნდა. ვხედავთ გამოწვევებს, რაც ქვეყნის წინაშეა. სასამართლო კატასტროფულ მდგომარეობამდეა მისული. ეს ინსტიტუცია, ისევე, როგორც ყველა სახელმწიფო ინსტიტუცია, ექვემდებარება ოლიგარქს. ფინანსები მთლიანად მის დაქვემდებარებაშია. წართმეული გვაქვს სამართალი, წართმეული გვაქვს არსებობის უფლება. ფაქტობრივად ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ კვლავ ჩაგვყლაპოს რუსეთმა და თავის გუბერნიად გვაქციოს. წართმეული გვაქვს ნორმალურად ყოფნის უფლება, ბედნიერების უფლება და ეს ყველაფერი წართმეული გვაქვს და აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ეს საკითხები გადასაწყვეტია და ერის ნება კვლავ უნდა დაფიქსირდეს მკვეთრად და ისე, რომ ყველამ გაიგოს, მოყვარემაც და ჩვენმა მტერმაც, რომ ჩვენ ამას არ შევეგუებით. არ შევეგუებით იმ ბრძოლას, რომლისთვისაც უამრავი ჩვენი თანამოქალაქის სისხლია დაღვრილი.

***– მათ შორის მორიგ ჯერზე ქვეყნის ჩაკეტვასაც არ შევეგუებით, საითკენაც ნელ-ნელა მიდის ვითარებას და პრინციპში ასეთი ინფორმაციაც არსებობს, რომ მალე გამოცხადდება ეს?***

– ეს კატასტროფაა და არ შეიძლება ამას შევეგუოთ. ძალიან რთული ვითარებაა. ჯერ ერთი, ე.წ. კომენდანტის საათს პოლიტიკური წესრიგისთვის იყენებენ და არ ფიქრობენ ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, სხვა შემთხვევაში სხვანაირად მიუდგებოდნენ სიტუაციას. ამდენი ხნის მანძილზე შემოტანილი ექნებოდათ ვაქცინა.

რაც მთავარია, მთლიანად ჩამოშალეს ეკონომიკა. კატასტროფული გახდა სოციალური მდგომარეობა. ხალხს არსებობის საშუალება აქვს წართმეული, გესმით? ხალხი შიმშილის ზღვარზეა. 800 000-მდე კაცი უკიდურეს გალატაკებამდეა მისული ახალი კვლევებით. ადამიანები, რომლებიც ვერ იკვებებიან ნორმალურად და შიმშილის წინაშე დგანან. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ჩამოიშალა საშუალო ფენა, რომელიც არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, არამედ დემოკრატიულ განვითარებასაც განსაზღვრავს. საშუალო ფენა ავსებს ბიუჯეტსაც და სამუშაო ადგილებსაც ის ქმნის. ასეა დასავლეთის ქვეყნებშიც. ფაქტობრივად ღარიბდება ეს ფენა და ჩვენ მივიღეთ პრივილეგირებული ოლიგარქიული ფენა. ისინი ფლობენ პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ ძალაუფლებას, დანარჩენები კი ვიმყოფებით უკიდურეს მდგომარეობაში.

***– თუმცა, როგორც თქვენ ეძახით მას, არ ესმის ეს ოლიგარქიულ ხელისუფლებას და როგორ გააგებინებთ?***

– ამიტომ არის აუცილებელი ნების გამოხატვა. ხომ ვნახეთ ევროკავშირში გაკეთებული განცხადებები, რომ შესაძლოა სანქციები წამოვიდეს. წარმოგიდგენიათ, რა დღეში აღმოვჩნდებით? ესენი კი ადამიანების სიცოცხლით ვაჭრობით დამატებით თანხებს აკეთებენ. ხომ დაინახეთ, რომ 10 მილიარდამდე დასავლეთიდან შემოსული ფული გაქრა და ეს საშვილიშვილოდ დაგვედო ვალად. თუ გადავწყვიტეთ, რომ მონობაში გვინდა ყოფნა, მაშინ ზედ გამოწერილია ივანიშვილი. თუ თავისუფალი ხალხი ვართ და გვინდა ამ ქვეყანაში ვიცხოვროთ წარმატებულად და ბედნიერად, მაშინ უნდა გავთავისუფლდეთ ამ ბოროტებისაგან.

***– როგორ? ეს არის მთავარი კითხვა.***

– გამოფხიზლებაა საჭირო. უნდა გამოვიდეთ, ყველანი ერთად დავდგეთ და ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ამას არ შევეგუებით.

***– ერთადერთი გზა ქუჩაში გამოსვლაა და ის, რომ ხალხი დაინახოს ბიძინა ივანიშვილმა?***

– რა თქმა უნდა. ისინი ანგარიშს უწევენ მხოლოდ ძალას. სხვა რესურსი და სხვა საშუალება არ დარჩა. მშვიდობიანად ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ არჩევნებს და ამ არჩევნების გზით უნდა ჩამოვიცილოთ ეს ბანდა. სამოქალაქო ომს ხომ არ გავაჩაღებთ? ღმერთმა დაგვიფაროს ამისაგან. ამიტომ, რაც უფრო კონცენტრირება იქნება და ხალხის ნება მკვეთრად იქნება გამოვლენილი და დავდგებით იქ, სადაც ჩვენს სამშობლოს, ხალხს და ოჯახებს სჭირდება, დარწმუნებული ვარ, რომ მარტივად გადაწყდება ეს პრობლემა. ისინი გაასწრებენ თავქუდმოგლეჯილები ამ ქვეყნიდან. ეს არის აუცილებელი და ეს უნდა გავაკეთოთ. სხვაგვარად შეუძლებელია, რომ ამ ბოროტებას რაიმე შეგონებით, რაიმე მოლაპარაკებით და „ფეისბუქზე“ აზრის გამოხატვით შევაგონოთ რამე. მათ ინტერესებს საერთოდ არ წარმოადგენს ამ ქვეყნის განვითარება, მდგრადობა თუ უსაფრთხოება. მათ ინტერესს წარმოადგენს, რომ ძალაუფლება საკუთარი ინტერესისთვის გამოიყენონ.

ვუყურებთ, გუშინ ცალ-ცალი ქალამნით რომ იყვნენ, დღეს მილიონერები არიან. ამდენი მილიონერია შეყრილი პარლამენტში და ისინი საკუთარ ქონებას უყურებენ. სულ არ ადარდებთ ადამიანების ყოფა და ის, თუ რა ყოფაში გვიწევს არსებობა. ჩვენ შევეწირეთ ამ ქვეყანას, მაგრამ ჩვენი შვილებისთვის უკეთესი მომავალი არ გვინდა?! თითო თითოდ ვერაფერს გავაკეთებთ და მხოლოდ ერის ერთიან ძალისხმევას შეუძლია დიდი ამოცანების გადაწყვეტა.

# რატომ სთხოვს საქართველოს მოქალაქე ზვიად გაგაძე ამერიკის სახელმწიფოს პოლიტიკურ თავშესაფარს

**საქართველო ბიზნესისათვის უკვე იმდენად აღარ არის მიმზიდველი, რომ ქართველი მეწარმეები პოლიტიკური თავშესაფრისათვის უცხო ქვეყნებს მიმართავენ. დედოფლისწყაროში მცხოვრები ბიზნესმენი ზვიად გაგაძის ოჯახის შემთხვევა ამის კლასიკური მაგალითია.**

**ზვიად გაგაძე დაიბადა 1974 წელს დედოფლისწყაროს რაიონში, ჰყავს ოთხი შვილი და ამჟამად მეუღლესთან ქსენია ლაზვიაშვილთან ერთად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში. მას დამთავრებული აქვს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი და გარდაბნის რაიონის მრავალპროფილიანი სასწავლებელი სპეციალობა ავტომშენებელი.**



## პრეისტორია

ბიზნესმენ ზვიად გაგაძის მამამ ომარ გაგაძემ (რომელიც ამჟამად ინვალიდია), რომელიც დაიბადა დედოფლისწყაროს რაიონში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ჩანკაანის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ნაწილის მიერ გასაყიდად გამოტანილი ერთ-ერთი ამორტიზებული შენობა 1991 წელს 61.000 მანეთად მიღება-ჩაბარების აქტით და ქვითრით № 1832 შეიძინა და გარკვეული ხნის მანძილზე ფერმად იყენებდა, ამ დროს შვილი ზვიად გაგაძე 18 წლის იყო, როდესაც მამას მის მოვლა-პატრონობაში ეხმარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელთ ჰქონდათ დოკუმენტი, არავის უთქვამს, რომ მათ ხელში იყო ამ ქონების უფლების დამდგენი დოკუმენტი, მაგრამ სარგებლობდა და ფლობდა სრულად.

2009 წელს ზვიად და ომარ გაგაძეების ოჯახმა აღმოაჩინა, რომ ეკონომიკის სამინისტროს კახეთის სამხარეო სამმართველოს პრივატიზაციის სამსახურმა 2008 წლის 21 აპრილს ოქმი №15 გაზეთ „მესაკუთრეში“ გამოცხადებული აუქციონის გამართვის საფუძველზე, როგორც ოჯახი აცხადებს, მესაკუთრედ ცნეს მოქ. თემურ თავაძე და რომელსაც თურმე 2050 აშშ დოლარად შეუსყიდია აუქციონის გზით ის ქონება, რომელიც 1999 წელს შეისყიდა ომარ გაგაძემ. აღნიშნულის შესყიდვა მოხდა სახელმწიფო ქონების მაღალ ჩინოვნიკებთან ხელშეწყობით.

ზვიადის ოჯახმა საჩივრით მიმართა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ჩინოვნიკთა უკანონო მოქმედებების გამო, მათ მიერ 1992 წელს შეძენილი სახ. საკუთრებიდან და თავდაცვის სამინისტროს საკუთრებიდან ამოერიცხათ, მაგრამ მაშინდელმა მინისტრმა 2011 წლის 08 დეკემბერს გამოტანილი ბრძანება №1-1 /25 87-ით ომარ გაგაძის ადმინისტრაციული საჩივარი არ დააკმაყოფილა.

აღსანიშნავია, რომ ზვიად გაგაძე მამასთან ერთად ჩაბმული იყო სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში და მამის, ომარ გაგაძის სახელზე გაფორმებული იყო სახელმწიფო მიწის იჯარა

ოჯახი მეცხოველეობას აქტიურად მისდევდა, გადაწყვიტეს, ოჯახი წელში ეკონომიურად გაემართათ, მაგრამ რას იფიქრებდნენ, რომ ადგილობრივი ჩინოვნიკების ხელი, ინტერესი, ეკონომიკის სამინისტრომდე მისწვდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ ომარს მიღება-ჩაბარების ოფიციალური აქტი ხელზე ჰქონდა, 2009 წელს ქონება მისგან დამოუკიდებლად საჯარო აუქციონით გასხვისდა.

ბევრი იარა თუ ცოტა მართლმსაჯულების კარზე სიმართლის საძიებლად, იურისტების ენაზე რომ იტყვიან, თავისად დაგულებული ქონების დასაბრუნებლად ზვიად გაგაძის ოჯახმა, ქონება ისევ დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება.

ბუნებით მებრძოლმა ზვიად გაგაძემ პარალელურად გადაწყვიტა, ბედი ხეხილის მეურნეობაში ეცადა და მსოფლიო ბანკის პროექტში „დანერგე მომავალი“ მიიღო მონაწილეობა, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას ისახავდა მიზნად.

პროექტის მიხედვით, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში „დანერგე მომავალი“, ზვიად გაგაძეს მეუღლესთან ერთად კაკლის ხის ნერგები თურქეთიდან უნდა შემოეტანა საქართველოში და ოცდაათ ჰექტარ მიწაზე უნდა გაეშენებინა. მართალია კაკლის ნერგები კახეთის ტერიტორიაზე გაშენდა, მაგრამ მალევე დაიწყო ხმობა და მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა უცხო ქვეყნის სერთიფიკატები და ნებართვები, პროექტმა არ გაამართლა. თურქეთიდან შემოტანილი კაკლის ხის ნერგები აღმოჩნდა უხარისხო, დეფექტიანი, რამაც გაგაძეების ბიზნესი საერთოდ ჩააგდო. ამას ზედ ერთვოდა ბიზნესმენის ოჯახის მხრიდან ბანკიდან აღებული სესხის, ოცდარვაათასი აშშ დოლარის ბედი, რომელმაც ზარალი ერთი ორად გაზარდა. იმ დროს, როდესაც უცხო ქვეყნის ლაბორატორიამ კატეგორიულად დაასკვნა, რომ შესყიდული კაკლის ხის ნერგები დაავადებული იყო კიბოს დაავადებით და შეუძლებელი იყო პროექტის გაგრძელება, გაგაძეებს აქაც არ უგრძნიათ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ საქმეში პროექტის ერთ-ერთ მონაწილეს სწორედ სახელმწიფო, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენდა, რომელიც ყველაფერზე იყო პასუხისმგებელი, მათ შორის ზარალზეც.

ამ ფონზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაგაძეების ოჯახისათვის არც ერთ კითხვაზე არ გაუცია პასუხი. კერძოდ, როგორ შეძლო დაავადებულმა ხის ნერგებმა თურქეთიდან საქართველოს საბაჟოს გავლა და შემდეგ რეალიზება და ვის უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა ზიანზე?

ეს შემთხვევა კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც პარალელურად გაგაძეების ოჯახის თავს ხდებოდა. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ბიზნესმენის ოჯახს იჯარით აღებული ჰქონდა 81 ჰექტარი მიწის ნაკვეთი 48 წლის ვადით. სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ნაცვლად, მას გაურკვეველი წარმომავლობის 30.000 ლარის ოდენობით გადასახადი დააკისრა და ოჯახი იძულებული გახდა, თავად შეესყიდა ქონება, რადგან დიდი შრომით მოპოვებულ უძრავ ნივთს გასხვისება ემუქრებოდა. პარალელურად ბიზნესმენს ადგილობრივი ჩინოვნიკებიც „სტუმრობდნენ“, რომ მუქარის ფონზე სრულად დაეთმოთ შეძენილი ქონება. ასეთ ფაქტებს ბიზნესმენის თითქმის ყველა მეზობელი იხსენებს.

სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული დევნის გამო, როგორც ბ-ნ ზვიადი ამბობს, ნელ-ნელა ჩამოსცილდა აქტიურ სამეწარმეო საქმიანობას. საბოლოო წვეთი ამ საქმეში ხორბლის ბოლო ეპიზოდი აღმოჩნდა, რამაც მას საერთოდ აალებინა ხელი ბიზნესსაქმიანობაზე და მიზანმიმართული დევნის გამო, გადაწყვიტა, სიმშვიდე უცხო ქვეყნის კარზე ეპოვა.

„ბანკიდან სესხის დაფარვის მიზნით ზვიად გაგაძე მ ხორბალი ზესტაფონში გაყიდა..ამ საქმის ისტორია ასე დაიწყო. მასთან მივიდნენ ე.წ. კლიენტები, რომლებმაც შესთავაზეს თავისივე სატვირთო მანქანით საქონელი ზესტაფონის რაიონში ჩაეტანა. პირობა შეასრულა, ხორბალი დანიშნულების ადგილამდე კი მივიდა, მაგრამ ნასყიდობის ფასი არ გადაუხადეს, ნებით და უნებლიეთ აქაც თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდა. სამართლის კარზე სიარული და პროკურატურაში საქმის ძიება დაიწყო. შედეგი კი მიიღო, რომ ზესტაფონის სასამართლომ დამნაშავედ ისეთი პირი ცნო, რომელიც ამ საქმეში მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებდა და რეალურად დამნაშავე სხვა პირი იყო.

ყველა ამ გარემოებამ ზვიად გაგაძე თავის მეუღლესთან ერთად იძულებული გახადა, დაეტოვებინა ქვეყანა და ახლა თავშესაფარს ამერიკის შეერთებულ შტატებს სთხოვს.

მაინც რა სამართლებრივი გზა განვლო ბიზნესმენმა ზვიად გაგაძემ საქართველოში, ამოწურა თუ არა მან ყველა იურიდიული შესაძლებლობა თავისი უფლების რეალიზებისათვის და რა იყო შედეგი, გაგაძის ოჯახის ადვოკატს, ქ-ნ ნათელა გოდერიძეს სამართლებრივი შეფასებისთვის მივმართეთ.

„მე, ნათელა გაგაძე, როგორც უფლებადამცველი ადვოკატი, ზვიად და ომარ გაგაძეების ადვოკატი, სრულად ვიცნობ ამ საქმეს, მათ ისტორიას და ყველა ფაქტის ერთობლიობით და თავმოყრით შემიძლია ვთქვა, რომ ადგილი აქვს ამ ოჯახის მიმართ მიზანმიმართულ დევნას. მოკლედ რომ შევაფასო, ქონება, რომელიც ზვიად გაგაძის მამამ წითელწყაროში შეიძინა, გადაიხადა თანხა და ფერმად იყენებდა, სახელმწიფომ კაიკის ფასად გაუყიდა ისე, რომ ამ უკანასკნელმა არაფერი იცოდა. ომარ გაგაძემ საჩივრით მიმართა ეკონომიკის სამინისტროს, რომ მოეხდინათ მათ მიერ კანონიერი გზით შეძენილი ქონების სახელმწიფო ბალანსიდან ამორიცხვა, მაგრამ უთხრა უარი დაუსაბუთებლად. ქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ 2012 წლის 15 იანვრის განჩინებით, სარჩელი დატოვა განუხილველი მხარეთა გამოუცხადებლობის მოტივით, მაშინ როდესაც, სასამართლოს ვთხოვდით, ზეპირი მოსმენის გარეშე განეხილა ეს საკითხი. ვინაიდან ომარ გაგაძეს ჰქონდა ფინანსური პრობლემები, პირდაპირ მიმართა მაშინდელ კონტროლის პალატას, გამოეკვლია კახეთის სამხარეო სამმართველოს საპრივატიზაციო სამსახურის მუშაკთა მოქმედების კანონიერება, უძრავი ქონების თეიმურაზ თავაძეზე გაყიდვა. არ გამოიკვლია არც ერთი ფაქტობრივი გარემოება და არც კანონით გათვალისწინებული დასკვნა აქტიც არ დადო, რაც საფუძველი გახდებოდა აქტის კანონიერების შემოწმებისა და გასაჩივრებისა. ზვიად გაგაძემაც ოფიციალურად მიმართა სახელმწიფოს, დაეცვა მისი ინტერესები, მაგრამ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

2008 წელს ომარ გაგაძეს იჯარით ჰქონდა აღებული ერთ-ერთი მიწა და სახელმწიფომ შემოსავლების სამსახურის მეშვეობით საურავის სახით გაუგონარი, დაუსაბუთებელი თანხა დააკისრა გადასახდელად, რომელიც შემდგომ გასაჩივრდა, მაგრამ აქაც შედეგი კრახით დასრულდა. სასამართლოს არც ერთმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელები, მაშინ როდესაც, ომარ გაგაძეს ხელზე ჰქონდა გადახდის ქვითრები, სახელმწიფო ამასაც არ დასჯერდა და დააყადაღა ომარ გაგაძის ქონება, მიწა და მათ შორის საცხოვრებელი სახლი. 2016 წელს სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ პირდაპირ გამოიტანა გადაწყვეტილება კანონიერი ქონების იძულებით აუქციონზე გასხვისების პირობით, რაც სხვა ინსტანციების მიერ უცვლელად იქნა დატოვებული.

ზვიად გაგაძე ერთგულად უჭერდა მხარს მამას ომარს და მოჰყავდა ხორბალი, მზესუმზირა და საერთოდ ეწეოდა სოფლის მეურნეობას, აღარაფერს ვამბობ იმ ფაქტზე, როდესაც მას აგროსესხის დახმარებით თურქეთიდან უხარისხო დეფექტიანი ნერგები შემოატანინეს და ბოლოს ეს უკანასკნელი იმთავითვე დაავადებული ყოფილა, რომელმაც მთლიანად გაკოტრების პირას მიიყვანა ზვიად გაგაძის ბიზნესი. თუმცა ბოლო წვეთი ზვიად გაგაძის ბიზნესში იყო ის ფაქტი, როდესაც ზვიად გაგაძე აღმოჩნდა თაღლითობის მსხვერპლი ზესტაფონის რაიონში. ის იყო კლასიკური მაგალითი იმ უკანონობისა, რასაც საქართველოში ჰქონდა ადგილი. ფაქტიურად სასამართლომ, პროკურატურამ მთლიანად მხარი დაუჭირა თაღლითებს იმით, რომ საბრალდებო სკამზე არა ის პირი დასვეს, რომელიც რეალური თაღლითი იყო და ქონება ჰქონდა, არამედ ის, ვინც მხოლოდ დამხმარე იყო ამ საქმეში. მართალია ზვიად გაგაძე დაზარალებულად ცნეს, მაგრამ მან ზიანი ვერ აინაზღაურა, რადგან სახელმწიფომ ეს ნება არ გამოხატა.“

მოკლედ რომ შევაფასოთ, ზვიად გაგაძის ოჯახის დევნა მიზანმიმართულადაა დაწყებული. ეპიზოდურად მისი წარმატებული ბიზნესის გამო მას აქტიურად სდევნიდნენ ადგილობრივი ჩინოვნიკები და ზოგჯერ მის სიცოცხლესაც ემუქრებოდა საფრთხე, რადგან, როგორც ზვიად გაგაძე იხსენებს, ხშირად მას უთვალთვალებდნენ საეჭვო მანქანებში მსხდომი უცხო პირები და ასევე, უტყუარად არსებობს ფაქტები, რომ მას ბიზნესი, ქონება სხვის სასარგებლოდ უნდა დაეთმო ან საერთოდ უარი უნდა ეთქვა სამართლებრივ დავებზე. და რაც მთავარია, ზვიად გაგაძის ოჯახი ყველაფერ ამას პოლიტიკურ პარტიასთან, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან აქტიურობით ხსნის.

*ჟურნალისტი ლევან ჭიღლაძე*

®

## დმანისის პოლიციის უფროსის მოადგილე დააკავეს



10 აპრილს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და განზრახ უკანონოდ დაკავების ბრალდებით ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე დააკავეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და განზრახ უკანონოდ დაკავების ბრალდებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე შ.ზ. დააკავეს.

დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ შ.ზ.-მ ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით უზრუნველყო ერთ-ერთი მოქალაქის უკანონო დაკავება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე და 332-ე მუხლებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.567 ფაქტი გამოავლინა



შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.567 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 137 ფიზიკური და 2 იურიდიული პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1287 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 141 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

## პოლიციამ ნამახვანჰესის მოწინააღმდეგეთა კარვების აღება და მოქალაქეთა გაყვანა გადაწყვიტა



10 აპრილს ნამახვანჰესის საწინააღმდეგო კარვების ტერიტორიიდან რიონში მამაკაცი ჩავარდა. მდინარე რიონის ხეობაში იმ ადგილას, სადაც ეგრეთ წოდებული საგუშაგო კარვებია გაშლილი, მდინარეში ბანაკის ტერიტორიიდან, სავარაუდოდ, ნასვამი მამაკაცი შევიდა, რომელიც წყალში გაუჩინარდა.

მასთან ერთად მყოფები ამბობენ, რომ რამდენიმე თვის წინ მას დედა გარდაეცვალა. თვითმხილველები არც სუიციდს გამორიცხავენ.

მამაკაცი ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეებს ორი დღის წინ შეუერთდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გუშინ, 11 აპრილს, შსს-მ ასეთი განცხადება გააკეთა:

„სოფელ ნამახვანის მიმდებარე ტერიტორიაზე, გუშინ გაუჩინარებული ახალგაზრდა მამაკაცის სამძებრო სამუშაოები მდინარე რიონში და მიმდებარე ტერიტორიაზე ამ დრომდე მიმდინარეობს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ჰიდროლოგიური მონაცემებით, მდინარე რიონის წყლის დონე ამ ეტაპზე აღემატება სასიგნალო ნიშნულს და არსებული ამინდის პროგნოზის გათვალისწინებით, მოსალოდნელია წყლის დონის განსაკუთრებული მატება, რამაც შესაძლოა მდინარის კალაპოტიდან გადმოსვლა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა გამოიწვიოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საფრთხის თავიდან აცილების და აქციის მონაწილეთა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მიიღო გადაწყვეტილება საფრთხის შემცველი ზონიდან კარვების გატანისა და ადგილზე მყოფი მოქალაქეების უსაფრთხო ადგილას გადაყვანის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს აქციის მონაწილეებს, დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნას.“

## კახეთში მამაკაცი საკუთარ სახლში გარდაცვლილი ნახეს

10 აპრილს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში ახლობლებმა მამაკაცი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

გარდაცვლილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, ამიტომ ახლობლები ფიქრობენ, რომ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## ქუთაისში ნარკოდანაშაულისთვის 55 წლის ი.ქ. დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული ი.ქ., ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ქუთაისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს სხვადასხვა სახის 127 აბი, 20 ცალი კრისტალი, აბის 22 ნატეხი სავარაუდო ნარკოტიკული ნივთიერება.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

## თბილისში ირანის მოქალაქემ თავი მოიკლა

### „ირანში მაძევებენ, იქ სიკვდილი მემუქრება“

9 აპრილს თბილისში, ისანში, კორპუსიდან ირანის მოქალაქე გადახტა.

მეზობლების ინფორმაციით, თვითმკვლელობის მიზეზი მოსალოდნელი დეპორტაცია გახდა.

როგორც ირკვევა, მამაკაცს საქართველოში ბინადრობის უფლება ამოეწურა.

„მე იქ სიკვდილი მემუქრება, ირანში იძულებით მიპირებენ დაბრუნებას“ – ეს წერილი დატოვა 30 წლის ირანის მოქალაქემ, რომელიც ისანში, მე-15 სართულიდან გადმოხტა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ირანის მოქალაქის ცხედარი ადგილობრივმა მოსახლეობამ „დირსის“ საცხოვრებელ კომპლექსში იპოვა. თვითმხილველები ჰყვებიან, რომ ხმაურზე გარეთ გამოვიდნენ და გარდაცვლილი მამაკაცი ნახეს. შემდეგ ადგილზე უკვე ირანის მოქალაქის ახლობლები მივიდნენ და იპოვეს წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ თვითმკვლელობის სავარაუდო მოტივი დეპორტი გახდა.

ირანის მოქალაქე თბილისში დედასთან ერთად ცხოვრობდა, შვილის თვითმკვლელობის შემდეგ ქალმა სტენოკარდიული შეტევა მიიღო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

საზოგადოება

## „ოკუპანტების კისერზეა გალის ოთხი მცხოვრების დაღუპვა“

გულიკო ბალაძე



**„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.**

***– ბატონო ჯემალ, დამოუკიდებლობის 30-წლისთავზე ქვეყანას დიდი პრობლემები აქვს ოკუპაციის სახით და ადამიანები იღუპებიან იმის გამო, რომ საოკუპაციო რეჟიმს გადაადგილება შეზღუდული აქვს. თქვენ რა განცდა გეუფლებათ დღეს, როგორ აფასებთ ენგურზე მომხდარს, სადაც მდინარეზე გადმოსვლისას გალის ოთხი მცხოვრები დაიღუპა?***

– რაც ენგურზე მოხდა, დიდი ტრაგედიაა. არა მხოლოდ იმ ადამიანების, მათი ოჯახების, არამედ ქვეყნის ტრაგედიაა. ქვეყანაა ტრაგიკულ მდგომარეობაში. ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიის 20%. რაც მოხდა, ოკუპაციის პირდაპირი შედეგია და, მომხდარზე პასუხისმგებლები, უპირველესად, ოკუპანტები არიან.

ჩვენ შედარებით კარგად ვართ გარკვეული დეტალებში რა, როგორ მოხდა, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ოკუპანტების სინდისსა და კისერზეა გალის ოთხი მცხოვრების დაღუპვა.

***– ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ამ ტრაგედიაში, გარკვეულწილად, ხელისუფლებასაც ადანაშაულებს, რომ ხელისუფლებას შეეძლო ამ ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად რაღაც გაეკეთებინა.***

– ოპოზიციის საქმეა, ხელისუფლება აკრიტიკოს. ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება, მაგრამ ის, რაც მოხდა, ოკუპაციის პირდაპირი შედეგია. იქ ოთხი დაღუპულიდან ორს არ ჰქონდა საშვი. სოხუმში უნდა წასულიყო, ფული უნდა გადაეხადა, ორი დღე მაინც უნდა დაეკარგა, მერე საშვს მისცემდნენ თუ არა, იმ საშვით გამოუშვებდნენ თუ არა, არავინ იცის. თუ დამატებით ფულს არ გადაიხდი, არ გამოგიშვებენ.

თუმცა, ქართული მხარე, ყოველთვის არის პასუხისმგებელი თავის მოქალაქეებზე. მით უმეტეს, როცა იქ ტრაგედია ხდება, ხელისუფლება ყოველთვის იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას, მაგრამ აქ არის ერთი პრობლემა, რის მოგვარებაზეც ჩვენი უმაღლესი საბჭო და მთავრობა მუშაობს.

მთავარი ისაა, რომ აფხაზეთიდან ენგურის გამოვლით თითო-ოროლა ადამიანი გადმოდის. იქიდან არ უშვებენ. თუ ვინმე გამოუშვეს (იქ ქრთამს გადაიხდის, ვიღაცას მოისყიდის), აქ ხუთი დღე კარანტინში უნდა იყოს. ჩვენი მოქალაქეებისთვის ეს არის ძალიან დიდი დისკომფორტი.

***– რატომ არის დაწესებული 5-დღიანი კარანტინი?***

– ადრე 12-დღიანი კარანტინი იყო, ახლა 5-დღიანი კარანტინია. 5-დღიანი კარანტინი იმიტომ არის, რომ ენგურსგაღმა სიტუაციას ვერ ვაკონტროლებთ. ზუსტად არ ვიცით, ეპიდემიოლოგიური სიტუაცია როგორია. არ ვიცით, მათი მონაცემები სწორია თუ არა. ეპიდემიოლოგიურ სიტუაციასთან დაკავშირებით ის მონაცემები რომ მივიღოთ, რაც ენგურს გაღმა ქვეყნდება, დაინფიცირებულების ძალიან მაღალი პროცენტი გამოდის.

ამიტომ, საერთოდ რომ გახსნა ეს ადმინისტრაციული საზღვარი და ადამიანები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაატარო, ამან შეიძლება იმ ადამიანების ჯანმრთელობაზე ძალიან ცუდი გავლენა მოახდინოს. ჩვენ ხელისუფლებას ვთავაზობთ (ეს უკვე პარლამენტშიც გახმაურდა, წერილებით მივმართეთ შესაბამის ინსტანციებს), 5-დღიანი კარანტინი მოიხსნას და ადამიანებს, რომლებიც ენგურზე გადმოდიან, სწრაფი ტესტი ჩაუტარდეთ. ვინც ჯანმრთელია, მას ყოველგვარი კარანტინის გარეშე დავრთოთ ნება, გაიაროს ქალაქში, შეიძინოს, რაც მას სჭირდება და იმ დღესვე დაბრუნდეს უკან.

ადამიანი ერთი დღით ჩამოდის და 5 დღე კარანტინშია. ეს დისკომფორტი კი არა, უდიდესი პრობლემაა. ადამიანმა ოჯახი, სოფელი, პატარა ბავშვი, ან ავადმყოფი დატოვა და 5 დღე კარანტინში უნდა იცადოს, რომ წამალი, პროდუქტი იყიდოს. ეს პრობლემაც არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები შემოვლითი გზებით ცდილობენ ზუგდიდში შემოღწევას და კარანტინის გარეშე უკან დაბრუნებას.

5-დღიანი კარანტინი უნდა მოიხსნას. ამაზე ხელისუფლება სერიოზულად მუშაობს. ძალიან შეწუხებულები არიან და ამ საკითხს განიხილავენ. თუ ვირუსის მესამე ტალღა არ იქნა და ხელი არ შეუშალა, 5-დღიანი კარანტინი მალე მოიხსნება.

***– ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ.***

– როდესაც ტერიტორია ოკუპირებულია, როდესაც ხელისუფლება იქ სიტუაციას ვერ აკონტროლებს, პანდემიაა, ადამიანებს აქეთ არ უშვებენ, ყურადღება როგორ უნდა მიაქციო, არ ვიცი. შეიძლება პროდუქტები მიაწოდო, მაგრამ როგორ უნდა გააკეთო ეს? ადამიანები ზოგჯერ ივიწყებენ, რომ ტერიტორია ოკუპირებულია და სიტუაციას ვერ ვაკონტროლებთ.

***– თუმცა, 5-დღიანი კარანტინის მოხსნა ხომ არის შესაძლებელი?***

– ეგ პრობლემა არის, ამის თაობაზე დიდი ხანია ვსაუბრობთ. პარლამენტში ტერიტორიული მთლიანობის კომისიის სხდომაზე განვაცხადე. მანამდეც და მას შემდეგაც ვმუშაობთ, რომ 5-დღიანი კარანტინი გაუქმდეს.

***– სწრაფი გადაწყვეტილება რატომ ვერ მიიღეთ?***

– ისევ და ისევ იმიტომ, რომ ენგურს გაღმა არსებულ სიტუაციას ვერ ვფლობთ და არ ვიცით, იქ როგორი ეპიდვითარებაა.

***– არ შეიძლება სურსათი, რისთვისაც იქაური მაცხოვრებელი აქეთ გადმოდის, ხელისუფლებამ რამენაირად მიაწოდოს?***

– საქართველოს მთავრობას თავი დავანებოთ, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს შეუძლია უამრავ ოჯახს მიაწოდოს სურსათი, მაგრამ როგორ მივაწოდოთ? ადრე ვახერხებდით ფულის გადარიცხვას, რაღაცის გაკეთებას, მაგრამ ახლა ამის შესაძლებლობაც აღარ არის.

***– რატომ ვერ მოხერხდა გასული 30 წლის განმავლობაში რუსეთთან იმაზე შეთანხმება მაინც, რომ ადამიანებს დაუბრკოლებლად გადაადგილების საშუალება ჰქონოდათ?***

– ეს შეკითხვა უნდა დაუსვათ ბატონ ვლადიმერ პუტინს. ის გიპასუხებთ იმაზე, რატომ გადაკეტა აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, აქეთ გადმოსასვლელი გზები? რატომ მოახდინა ამ ტერიტორიის ოკუპაცია? რატომ აუკრძალა ადამიანებს გადაადგილება? ეს შეკითხვები ბატონ ვლადიმერ პუტინთანაა დასასმელი. ამ კითხვაზე მე ვერ გიპასუხებთ, სამწუხაროდ და საუბედუროდ.

***– ასეთი ტრაგედიების და სხვა მნიშვნელობანი პრობლემების დროს თუ არის პირდაპირი კავშირის დამყარების შესაძლებლობა აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლებთან? თუ აწუხებთ, რომ ასეთი ტრაგედია მოხდა?***

– ტრაგედიაზე ისინი, რა თქმა უნდა, მწუხარებას გამოხატავენ. თუმცა, ძირითადად გალის ადმინისტრაცია. რამდენადაც ვიცი, სოხუმში საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლებს განცხადება არ გაუკეთებიათ. გალის ადმინისტრაციამ გააკეთა განცხადება, თანაუგრძნობენ, მაგრამ ბრალს დებენ ქართულ მხარეს.

***– ბრალს რაში დებენ?***

– 5-დღიანი კარანტინის გამო. თითქოს ამიტომ მიდიან ადამიანები რისკზე – მდინარის გადალახვის გზით ცდილობენ გადმოსვლას, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ძალიან ბევრ ადამიანს, რომელსაც სურს აქეთ გადმოსვლა, უბრალოდ, არ უშვებენ. 200-250 ლარის ეკვივალენტი რუბლში უნდა გადაიხადონ, რომ იქიდან გამოგიშვან. ეს ფული იქ მცხოვრებლების უმეტესობას არ აქვს. ამიტომ მოხდა ეს ტრაგედია.

# დედოფალ ელისაბედის მეუღლე, პრინცი ფილიპი, 99 წლის ასაკში გარდაიცვალა



ედინბურგის ჰერცოგი, დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ მეორეს მეუღლე, პრინცი ფილიპი, 99 წლის ასაკში გარდაიცვალა.

პრინცის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო დროს გაუარესებული იყო და ის კვირების განმავლობაში კლინიკაში იყო მოთავსებული. თუმცა რამდენიმე დღის წინ კლინიკიდან გაწერეს და სასახლეს დაუბრუნდა.

ოფიციალური განცხადების თანახმად, ის თავს კარგად გრძნობდა.

ასაკის მატებასთან ერთად, პრინც ფილიპის ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა, სწორედ ამის გამო, 2017 წელს მან ოფიციალურად განაცხადა, რომ უარს ამბობდა სამეფო საქმიანობაზე.

დედოფალ ელისაბედთან მას 73-წლიანი ქორწინება აკავშირებდა და ბრიტანეთის მონარქიის ერთ-ერთი ყველაზე პრივილეგირებული წევრი და სამეფო ოჯახის სახე იყო. დედოფალ ელისაბედთან დაქორწინებამდე მას საბერძნეთისა და დანიის პრინცის ტიტული ჰქონდა.

ფილიპმა დიდი ბრიტანეთის დედოფალზე 1947 წელს იქორწინა.

# ამერიკული სამხედრო ხომალდები უკრაინაში 4 მაისამდე შევლენ

ამერიკული სამხედრო ხომალდები უკრაინაში 4 მაისამდე შევლენ.

ამერიკული სამხედრო გემები თურქულ ყურეებს გაივლიან და შავ ზღვაში განთავსდებიან. ამერიკული ხომალდების შავ ზღვაში შესვლა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიითაა გამოწვეული.

აშშ დაეხმარება უკრაინას იარაღით, გაამკაცრებს სანქციებს რუსეთის მიმართ (სვფიტერის გათიშვა და ა. შ.), ამავე დროს, ამერიკული დივიზიები უკრაინის ტერიტორიაზე არ იბრძოლებენ.

– უკრაინის არმიას სამშობლოს დაცვა საკუთარი ძალებით მოუწევს.

# რუსეთმა, შესაძლოა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა დატოვოს

რუსეთის დუმის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ სლუცკი ელოდება, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის მსვლელობისას, რომელიც 19 აპრილს გაიხსნება, მიიღებენ „მკაცრ ანტირუსულ რეზოლუციას", რომელიც დაკავშირებულია პატიმრობაში მყოფ ოპოზიციურ პოლიტიკოს ალექსეი ნავალნისთან.

– 19 აპრილს სტრასბურში გაიხსნება საპარლამენტო ასამბლეის მორიგი სესია და სწორედ საჩქარო დებატების ფორმატში განსაკუთრებით აქტუალურ დოსიედ განიხილება ნავალნის დოსიეს მიღება. გასაგებია, რომ ეს იქნება მკაცრი ანტირუსული რეზოლუცია, – განაცხადა სლუცკიმ.

მისი თქმით, ამ ვითარებამ შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ რუსეთმა ეს ორგანიზაცია დატოვოს.

# საბერძნეთში ჟურნალისტი მოკლეს

საბერძნეთში ჟურნალისტი კარაივასი მოკლეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ის სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა. კარაივასს 15-ჯერ ესროლეს.

მოკლული ჟურნალისტი 53 წლისა იყო. მას დარჩა ცოლი და შვილი.

ის კრიმინალურ თემებზე წერდა.

# ინდონეზიაში 6.1 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

## 8 ადამიანი დაიღუპა



6.1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მსხვერპლით დასრულდა ინდონეზიაში.

ნგრევას კუნძულ იავას აღმოსავლეთით 8 ადამიანი ემსხვერპლა. დანგრეულია ათეულობით საცხოვრებელი სახლი და დაზიანებულია საგზაო ინფრასტრუქტურა.

ინდონეზიის მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და გეოფიზიკური სააგენტოს ინფორმაციით, ცუნამის საფრთხე არ არსებობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სამემკვიდრო განცხადება

გარდაიცვალა ბესიკ გულმაგარაშვილი, დაბადებული 05.02.1972 წელს. მცხოვრები ქ.გურჯაანის რაიონის სოფ. შაშიანში. სამკვიდრო მოწმობის მისაღებად განცხადება წარდგენილია ნოტარიუს ნუგზარ თვალმიხელაშვილთან მისამართზე: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის №14.

***განმცხადებელი ივანე ბიწკინაშვილი***

სპორტი

# ფლეი ოფის მონაწილეთა ნახევარი ცნობილია



**ქუთაისი-კაკტუსი 78:83**
**(16:29, 17:15, 19:22, 26:17)**

სუპერლიგის საფლეიოფო სიას კიდევ ერთი გუნდი შეემატა – არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსმა ქუთაისში 83:78 იმარჯვა და ფლეი ოფში ადგილი გაინაღდა.

შეგახსენებთ, რომ ფლეი ოფში თამაში აქამდე 3 გუნდს ჰქონდა განაღდებული: რუსთავს, ქუთაისს და ცხუმ-აფხაზეთს. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა 3 ლეგიონერის გარეშე ითამაშა: დეჟუან რაითს, კაჰიმ რენსომს და ლუკ მეიერს ქუთაისელები ბოლო თამაშებში ვერ იყენებენ. გარდა ამისა, იმერულ კლუბში არ უთამაშია ლევან გრძელიძეს.

მატჩი კაკტუსელთა სოლიდური უპირატესობით დაიწყო. პირველი პერიოდის შემდეგ ჟღენტის გუნდი 13 ქულით იგებდა. სწრაფი და შედეგიანი თამაში თბილისურ გუნდს კომფორტულად ყოფნის საშუალებას აძლევდა. კაკტუსელები მთელი თამაშის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ლიდერობას. ბოლო წუთებზე მასპინძლებმა ჩამორჩენის შემცირება მოახერხეს, მაგრამ თამაშის მოსაგებად არც დრო და არც ძალები არ ეყოთ.

გამარჯვებულებს 24 ქულით სანდრო სანაძემ ულიდერა. 19 ქულა და 6 პასი დაუგროვდა სამაი ჰეინს-ჯონსს, 15 ქულა და 7 მოხსნა ლევან მასხულიას ანგარიშზეა. ქუთაისელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ილია ლონდარიძე – 18 ქულა, 7 მოხსნა. ცენტრისთვის მოულოდნელად ბევრი – 9 პასი მიითვალა აკაკი დვალიშვილმა, რომელმაც ასევე 16 ქულა და 6 მოხსნაც გაიფორმა. 14 ქულა გიორგი ბარბაქაძის ანგარიშზეა.

**ტიტები-რუსთავი 84:86**
**(16:26, 16:19, 24:24, 28:17)**

ძალიან დაძაბული გამოდგა სუპერლიგის ლიდერ რუსთავისა და ფლეი ოფში გასასვლელად მებრძოლი ტიტების მატჩი. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა რუსთაველებმა, რომლებიც მესამე პერიოდის მიწურულს 17 ქულით ამარცხებდნენ მეტოქეს, საბოლოოდ დაძაბულ ფინალში, 2 ქულის სხვაობით – 86:84 მოიგეს.

მეტიც: ქვემოქართლელები ბოლო წუთზე ქულით ჩამორჩებოდნენ და ერთ-ერთი გადამწყვეტი შეტევა გაუცუდდათ. თუმცა ფარიდან ასხლეტილი ბურთი ისევ რუსთაველებმა მოხსნეს და შეხვედრის დასრულებამდე 6.9 წამით ადრე ჩაგდებული სამქულიანით ლიდერობა დაიბრუნეს. უმნიშვნელოვანესი ბურთი რუსთაველთა ამერიკელმა ლეგიონერმა – მაიკ დევისმა ჩააგდო.

დარჩენილ დროში ტიტებმა ორჯერ შეუტია, თუმცა აკაკი ლომოურის სამქულიანს მაიკ დევისმა დააფარა, ხოლო დავით ლომიძის შორი სროლა მიზანს გვარიანად აცდა.

სწორედ დევისი გახდა მატჩის საუკეთესო მოთამაშე, რომელმაც 19 ქულა, 9 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. გამარჯვებულთაგან ბომბარდირი მალიქ უაითი გახდა 29 ქულით. 19 ქულა ჯილან ვაშინგტონის ანგარიშზეა. ტიტებში 21 ქულითანდა 11 მოხსნით საუკეთესო იყო ტაილან ბირტსი, ბრენდან აუგბორნსის ანგარიშზე კი 16 ქულა დაგროვდა.

ტიტები რეგულარულის ბოლო მატჩს ქუთაისში ჩაატარებს და თუ ვერ მოიგო, დიდი ალბათობით, ფლეი ოფში გამსვლელ 8 გუნდში ვერ მოხვდება. რუსთავს კი, 2 შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი, მაგრამ ქვემოქართლელებს პირველობა გარანტირებული აქვთ.

**დინამო-თსუ 79:71**
**(23:22, 15:16, 23:19, 18:14)**

სუპერლიგაში რეგულარული ჩემპიონატი ერთმა გუნდმა თამაშები უკვე დაასრულა. ეს გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც 20 ტურის ჯამში 8 მოგება და 12 მარცხი მოაგროვა. დარჩენილ თამაშებში უნდა გადაწყდეს, თუ რომელ ადგილზე გავა თსუ. ფლეი ოფში გასვლის თეორიული შანსი უნივერსიტეტელებს აქვთ, მაგრამ გაცილებით რეალურია, რომ ლექსო ლაფანაშვილის გუნდი მე-9 ან მე-10 ადგილს დაიკავებს. ეს დამოკიდებულია დარჩენილ თამაშებში თსუ-ს კონკურენტების შედეგებზე. ესენი გახლავთ ტიტები, დინამო და ბათუმი. ამ გუნდებს უნივერსიტეტელების მსგავსად 8-8 მოგება აქვთ, თუმცა სამივეს თითო მატჩი აქვს ჩასატარებელი.

თუკი მე-10 ადგილზე გავა, თსუ-ს მოუწევს სუპერლიგაში დასარჩენად ბრძოლა. ასეთ შემთხვევაში მისი მეტოქე იქნება ა ლიგის ფინალში დამარცხებული გუნდი და 3 მოგებამდე ითამაშებენ, რათა 2021-22 წლების სეზონის სუპერლიგის საგზური მოიპოვონ.

არადა, სუპერლიგის პირველი წრის შემდეგ თსუ-ელები 10 მატჩიდან 7 მოგებით მე-3 ადგილზე იყვნენ და საჩემპიონო ამბიციაც კი ჰქონდათ. მეორე წრე უნივერსიტეტელებისთვის წარმოუდგენლად უშედეგო გამოდგა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა 10 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგო. ის ერთიც მესამე პერიოდში 18-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ, ბევრისთვის მოულოდნელად.

მატჩი, რომლის მოგებაც თსუ-ს გარანტირებულად აცილებდა გადათამაშებაში მოხვედრას და ვინძლო, ფლეი ოფის საგზურიც მოეტანა, უნივერსიტეტელებმა უშუალო კონკურენტ დინამოსთან წააგეს. მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილი დინამო თსუ-ს ერთი მოგებით ჩამორჩებოდა და მასაც ჰაერივით ესაჭიროებოდა გამარჯვება, რადგან მარცხის შემთხვევაში ფლეი ოფში გასვლის შანსს კარგავდა და გადათამაშებაში მოხვედრის უმთავრეს კანდიდატად იქცეოდა.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. პირველი პერიოდი დინამოელებმა ქულით მოიგეს, ხოლო მეორე – უნივერსიტეტელებმა და დიდ შესვენებაზე თანაბარი ანგარიში იყო. მესამე პერიოდში დინამო უკეთესად ამოქმედდა. მაიკლ ედვარდსის ფარქვეშა და ლუკა ბულაშვილის პერიმეტრიდან აქტიურობით დინამოელებმა დამაჯერებელი უპირატესობა მოიპოვეს და 10 ქულით გალიდერდნენ. თსუ იბრძოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავდა. მატჩის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა, როცა დინამომ დაცვასა და შეტევაში დაბალანსებული თამაშის წყალობით 11-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა და თსუ-ს თამაშის გადასარჩენად არც დრო და არც რესურსი აღარ დარჩა – 79:71.

გამარჯვებულებს 20 ქულითა და 13 მოხსნით მაიკლ ედვარდსმა ულიდერა. ბულაშვილი 23 ქულით ბომბარდირი გახდა, ალონზო უოკერის ანგარიშზე კი 14 ქულა დაგროვდა. თსუ-ში 17 ქულითა და 8 მოხსნით ქუენტინ დავი გამოირჩა. 16 ქულა და 7 მოხსნა და რიჩარდ ქალდველმა მიითვალა.

**მგზავრები-ოლიმპი 42:85**
**(4:25, 15:21, 12:22, 11:17)**

საკალათბურთო კლუბ მგზავრებს სუპერლიგაში დარჩენის თეორიული შანსიც აღარ აქვს და რაც ეს ამბავი გაირკვა, კლუბის ხელმძღვანელობამ ლეგიონერებზე უარი თქვა. უცხოელი მოთამაშეებით ეს გუნდი სუპერლიგიდან გავარდა და მათ გარეშე ნებისმიერ მატჩში განწირულია. აქედან გამომდინარე, მგზავრები უშანსოდ იყო ბოლოსწინა ტურის მატჩში ოლიმპთან და თამაშიც, რომ იტყვიან, ცალფარა გამოვიდა. ოლიმპმა მატჩი ძალიან იოლად – 85:42 მოიგო და მოგება-წაგებები გაითანაბრა.

ოლიმპელთაგან ქულები მოედანზე გასულმა 11-ვე მოთამაშემ მოინაგრა. საუკეთესო შედეგი კენდრიკ ტომპსონმა დააფიქსირა – 15 ქულა, 9 მოხსნა. კახა ჯინჭარაძის ანგარიშზე 10 ქულა დაგროვდა, ხოლო 4-მა კალათბურთელმა – ლევან გოგიჩაიშვილმა, ბუნდუ აბდულაიმ, ლუკა კალატოზიშვილმა და დავით აბულაძემ 9-9 ქულა მიითვალეს. მგზავრებში 11 ქულით დავით ბარამიძე გამოირჩა, 6 ქულა და 10 მოხსნა სოსო გოგნაძის ანგარიშზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსთავი | 18 | 16 | 2 | 1521-1348 | 34 |
| 2.ქუთაისი | 19 | 13 | 6 | 1721-1592 | 32 |
| 3.კაკტუსი | 19 | 10 | 9 | 1479-1499 | 29 |
| 4.ცხუმი | 18 | 10 | 8 | 1486-1383 | 28 |
| 5.თსუ | 20 | 8 | 12 | 1619-1699 | 28 |
| 6.ვერა | 18 | 9 | 9 | 1387-1420 | 27 |
| 7.ტიტები | 19 | 8 | 11 | 1508-1533 | 27 |
| 8.დინამო | 19 | 8 | 11 | 1619-1661 | 27 |
| 9.ოლიმპი | 18 | 9 | 9 | 1427-1407 | 27 |
| 10.ბათუმი | 19 | 8 | 11 | 1604-1685 | 27 |
| 11.მგზავრები | 19 | 4 | 15 | 1410-1554 | 23 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კალეიდოსკოპი

# წყვილმა მთელი ღამე ნიანგებით სავსე მდინარეში ჩარჩენილი მანქანის სახურავზე გატარა



ავსტრალიის ქალაქ დარვინის მცხოვრებმა წყვილმა მთელი ღამე გაატარა ავტომობილის სახურავზე, რომელიც შუა მდინარეში გაუფუჭდათ.

შაბათ საღამოს, 3 აპრილს, წყვილი ავტომობილით ლენდ კრუიზერით შეეცადა, ქალაქ დარვინიდან დასავლეთით მდებარე ნიანგებით სავსე მდინარე გადაელახათ.

ავტომობილი შუა მდინარეში გაიჭედა და წყლის სიმაღლემ მის ფანჯრებამდე მიაღწია. ამის გამო მანქანის ელექტრობა მწყობრიდან გამოვიდა. მაშველების ლოდინში წყვილი იძულებული გახდა სატრანსპორტო საშუალების სახურავზე ამძვრალიყო.

თავდაპირველად მაშველები და პოლიცია ვერ ახერხებდნენ ნავის გაგზავნას, ვინაიდან ამისთვის მდინარეში წყლის დონე საკმარისი არ იყო.

კვირას, 4 აპრილის, დილის ექვსი საათისთვის მათ უფრო მომცრო ზომის ნავი მონახეს და მისი დახმარებით დაზიანებულ ავტომობილამდე მიაღწიეს. პოლიციის წარმომადგენლის თქმით, წყვილს გაუმართლა, ვინაიდან მდინარეში უამრავი ნიანგი ბინადრობს, რომლებსაც შეეძლოთ მათ მანქანამდე მიეღწიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

# ქართველმა მომღერლებმა იტალიაში გრან პრი მოიგეს

პანდემიის მიუხედავად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა მაინც ატარებს ონლაინ კონკურსებსა და ფესტივალებს, სადაც ქართველი კონკურსანტებიც მონაწილეობენ. იტალიაში გამოცხადებულ ონლაინ კონკურსში „ლიბერტა კრეატივა" საქართველოდან ანსამბლ „იმედის" პატარა მომღერლები ჩაერთნენ და გამარჯვებაც მოიპოვეს.

**ნიკოლოზ თითირაშვილი, ანსამბლ „იმედის" ხელმძღვანელი:**



– ბავშვთა საესტრადო ანსამბლ „იმედში" თავისი არსებობის 40 წლის განმავლობაში უამრავი ნიჭიერი პატარა გაიზარდა. ანსამბლის მეხსიერებაშია უამრავი სოლო კონცერტი, გასტროლი, სატელევიზო პროექტებში მონაწილეობა, საერთაშორისო კონკურსები, ფესტივალები, საქველმოქმედო კონცერტები, რომელიც ყოველთვის მსმენელის სიხარულს და დადებით ემოციებს იწვევდა.

პანდემიის გამო გამოცხადებულ მკაცრ რეგულაციებს ჩვენც დავემორჩილეთ და მთელი წლით შევწყვიტეთ რეპეტიციები. იყო მონატრების ზარები, შორიდან მოფერება, შეხვედრის მოლოდინი, მაგრამ ეს პერიოდი შემოქმედებისთვის აქტიური აღმოჩნდა: ჩემი მუსიკა, ჩემი მეუღლის, მარიამ სიფრაშვილის ლექსი, ჩემი შვილების – ჯონის არანჟირება, ჯანოს ტექნიკური უზრუნველყოფა და ქორეოგრაფია – ერთი სიტყვით, მთელი ოჯახი შემოქმედებით აქტივობაში ჩავერთეთ. დაისახა ახალი პროექტები, ონლაინ კონტაქტები.

რეგულაციების შემსუბუქებისთანავე განახლდა პატარებთან ინდივიდუალური მუშაობა. შევასწავლეთ ახალი სოლო სიმღერები. ყველას განსაკუთრებით მოეწონა „სამყარო ჩვენია", ამიტომ ეს სიმღერა ხმებში გავშალეთ, ასე დაიბადა კვარტეტი „სანდ"-ი – სალომე თითირაშვილის, ანა-მარია ეხვაიას, ნატალი მდინარიძის და დეა გერლიანის სახელების პირველი ასოების შერწყმით.

იტალიაში გამოცხადებულ ონლაინ კონკურსზე „ლიბერტა კრეატივა" სოლო და კვარტეტის მიერ ცოცხალი შესრულების ჩანაწერები გავაგზავნეთ უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში 5-7 წელი და მოუთმენლად ველოდით შედეგს, რომელსაც ქულებით აფასებდა 27 ქვეყნის 49 ჟიურის წევრი. საქართველოდან ჟიურიში მე გახლდით. 27 ქვეყნის მონაწილეები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში იყვნენ გადანაწილებული და აფასებდნენ სრულიად სხვა კატეგორიებს. საინტერესო იყო, რომ ჟიურის ეგზავნებოდა მხოლოდ ბავშვის ასაკი და სიმღერის ცოცხალი ჩანაწერი, სადაც არ იყო მითითებული ქვეყანა. და, აი, 7 აპრილს მოვიდა ონლაინ პასუხები ქულებით, რომელმაც ძალიან გაგვახარა: 5 წლის დეა გელიანმა სახალისო სიმღერით მულტფილმიდან „მაშა და დათვი" ინგლისურ ენაზე მიიღო 87,8 ქულა და III ადგილი ლაურეატის წოდებით. 6 წლის ანა-მარია ეხვაიამ რეზო ლაღიძის „თბილისოს" რემიქსული ვარიანტით 89,6 ქულა III ადგილი და ლაურეატობა. 5 წლის ნატალი მდინარიძემ საავტორო „ფოლკის" სტილის სიმღერით „თბილისური" მიიღო 90,4 ქულა II ადგილი და ლაურეატობა.

განსაკუთრებით გაგვახარა კვარტეტ „სანდ"-ის შედეგმა – 98 ქულა და გრან პრი. ჩვენი ნიჭიერი გოგონები იტალიაში გამართული კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

კალეიდოსკოპი

# მოსწავლე გოგონას ზურგჩანთაში კოკაინი აღმოჩნდა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატში გოგონამ სკოლაში 260 გრამი კოკაინი მიიტანა.



აღნიშნული ინციდენტი 30 მარტს ქალაქ ნიუ-ბერნიში მოხდა. დაწყებითი სკოლის მოსწავლე გოგონას ზურგჩანთაში 260 გრამი კოკაინის შეკვრა იპოვეს. ნარკოტიკის მფლობელის ძებნამ სამართალდამცავები 27 წლის შერაი ბეკტონთან, სავარაუდოდ, მოსწავლე გოგონას დედასთან მიიყვანა. მას ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა და ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობა ედება ბრალად.

ხელისუფლება არ აზუსტებს, გოგონა, რომლის ზურგჩანთაშიც ნარკოტიკები აღმოჩნდა, ნამდვილად ბეკტონის შვილია თუ არა. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შედეგები

## 10 აპრილი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ლიდსი ... 1:2
ლივერპული-ასტონ ვილა ... 2:1
კრ.პალასი-ჩელსი ... 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 32 | 23 | 5 | 4 | 67-23 | 74 |
| 2.მანჩესტერი | 30 | 17 | 9 | 4 | 58-33 | 60 |
| 3.ლესტერი | 30 | 17 | 5 | 8 | 53-34 | 56 |
| 4.ჩელსი | 31 | 15 | 9 | 7 | 50-31 | 54 |
| 5.ლივერპული | 31 | 15 | 7 | 9 | 53-37 | 52 |
| 6.ვესტ ჰემი | 30 | 15 | 7 | 8 | 48-37 | 52 |
| 7.ტოტენჰემი | 30 | 14 | 7 | 9 | 51-32 | 49 |
| 8.ევერტონი | 29 | 14 | 5 | 10 | 41-38 | 47 |
| 9.ლიდსი | 31 | 14 | 3 | 14 | 49-49 | 45 |
| 10.ასტონ ვილა | 30 | 13 | 5 | 12 | 43-33 | 44 |
| 11.არსენალი | 30 | 12 | 6 | 12 | 40-35 | 42 |
| 12.ვულვზი | 31 | 10 | 8 | 13 | 31-41 | 38 |
| 13.კრ.პალასი | 31 | 10 | 8 | 13 | 33-52 | 38 |
| 14.საუთჰემპტონი | 30 | 10 | 6 | 14 | 39-53 | 36 |
| 15.ბარნლი | 30 | 8 | 9 | 13 | 24-40 | 33 |
| 16.ბრაიტონი | 30 | 7 | 11 | 12 | 33-38 | 32 |
| 17.ნიუკასლი | 30 | 7 | 8 | 15 | 30-50 | 29 |
| 18.ფულემი | 32 | 5 | 11 | 16 | 24-42 | 26 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 30 | 4 | 9 | 17 | 25-59 | 21 |
| 20.შეფილდი | 30 | 4 | 2 | 24 | 17-52 | 14 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მილუოლი-სუონსი ... 0:3
ბარნსლი-მიდლსბრო ... 2:0
ბირმინგემი-სტოკი ... 2:0
ბორნმუთი-ქოვენთრი ... 4:1
ბრისტოლი-ნოტინგემი ... 0:0
დერბი-ნორვიჩი ... 0:1
კარდიფი-ბლექბერნი ... 2:2
ქპრ-უენსდი ... 4:1
პრესტონი-ბრენტფორდი ... 0:5
უიკომბი-ლუთონი ... 1:3
ჰადერსფილდი-როტერჰემი ... 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ვოლფსბურგი ... 4:3
ბაიერნი-უნიონი ... 1:1
ვერდერი-ლაიფციგი ... 1:4
ჰერტა-გლადბახი ... 2:2
შტუტგარტი-დორტმუნდი ... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 28 | 20 | 5 | 3 | 80-36 | 65 |
| 2.ლაიფციგი | 28 | 18 | 6 | 4 | 52-23 | 60 |
| 3.ვოლფსბურგი | 28 | 15 | 9 | 4 | 49-26 | 54 |
| 4.აინტრახტი | 28 | 14 | 11 | 3 | 59-40 | 53 |
| 5.დორტმუნდი | 28 | 14 | 4 | 10 | 58-41 | 46 |
| 6.ლევერკუზენი | 27 | 12 | 7 | 8 | 45-32 | 43 |
| 7.უნიონი | 28 | 9 | 13 | 6 | 42-34 | 40 |
| 8.გლადბახი | 28 | 10 | 10 | 8 | 48-43 | 40 |
| 9.შტუტგარტი | 28 | 10 | 9 | 9 | 50-44 | 39 |
| 10.ფრაიბურგი | 28 | 10 | 7 | 11 | 40-42 | 37 |
| 11.აუგსბურგი | 27 | 9 | 5 | 13 | 29-41 | 32 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 27 | 8 | 6 | 13 | 41-47 | 30 |
| 13.ვერდერი | 28 | 7 | 9 | 12 | 32-43 | 30 |
| 14.ჰერტა | 28 | 6 | 8 | 14 | 34-48 | 26 |
| 15.არმინია | 28 | 7 | 5 | 16 | 22-46 | 26 |
| 16.მაინცი | 27 | 6 | 7 | 14 | 27-46 | 25 |
| 17.კიოლნი | 27 | 5 | 8 | 14 | 25-47 | 23 |
| 18.შალკე | 27 | 1 | 7 | 19 | 17-71 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

პადერბორნი-ბოხუმი ... 3:0
აუე-ზ.პაული ... 1:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-კადისი ... 0:1
ბილბაო-ალავესი ... 0:0
ეიბარი-ლევანტე ... 0:1
რეალი-ბარსელონა ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 30 | 20 | 6 | 4 | 53-24 | 66 |
| 2.ატლეტიკო | 29 | 20 | 6 | 3 | 51-19 | 66 |
| 3.ბარსელონა | 30 | 20 | 5 | 5 | 69-26 | 65 |
| 4.სევილია | 29 | 18 | 4 | 7 | 40-21 | 58 |
| 5.სოსიედადი | 29 | 12 | 10 | 7 | 45-29 | 46 |
| 6.ბეტისი | 29 | 14 | 4 | 11 | 39-42 | 46 |
| 7.ვილიარეალი | 29 | 11 | 13 | 5 | 42-31 | 46 |
| 8.ლევანტე | 30 | 9 | 11 | 10 | 37-39 | 38 |
| 9.სელტა | 29 | 9 | 10 | 10 | 38-44 | 37 |
| 10.ბილბაო | 30 | 9 | 10 | 11 | 39-33 | 37 |
| 11.გრანადა | 29 | 10 | 6 | 13 | 34-49 | 36 |
| 12.კადისი | 30 | 9 | 8 | 13 | 27-45 | 35 |
| 13.ვალენსია | 29 | 8 | 9 | 12 | 35-40 | 33 |
| 14.ოსასუნა | 29 | 7 | 10 | 12 | 23-35 | 31 |
| 15.ხეტაფე | 30 | 7 | 9 | 14 | 22-34 | 30 |
| 16.უესკა | 30 | 5 | 12 | 13 | 31-45 | 27 |
| 17.ვალიადოლიდი | 29 | 5 | 12 | 12 | 26-39 | 27 |
| 18.ელჩე | 30 | 5 | 11 | 14 | 27-46 | 26 |
| 19.ალავესი | 30 | 5 | 9 | 16 | 24-47 | 24 |
| 20.ეიბარი | 30 | 4 | 11 | 15 | 22-36 | 23 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

პონფერადინა-ფუენლაბრადა ... 0:0
ოვიედო-ლას პალმასი ... 0:0
რაიო-ხირონა ... 2:1

**იტალია. სერია ა**

სპეცია-კროტონე ... 3:2
პარმა-მილანი ... 1:3
უდინეზე-ტორინო ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 29 | 22 | 5 | 2 | 68-27 | 71 |
| 2.მილანი | 30 | 19 | 6 | 5 | 57-35 | 63 |
| 3.იუვენტუსი | 29 | 17 | 8 | 4 | 58-26 | 59 |
| 4.ატალანტა | 29 | 17 | 7 | 5 | 68-36 | 58 |
| 5.ნაპოლი | 29 | 18 | 2 | 9 | 63-34 | 56 |
| 6.ლაციო | 28 | 16 | 4 | 8 | 45-38 | 52 |
| 7.რომა | 29 | 15 | 6 | 8 | 53-44 | 51 |
| 8.ვერონა | 29 | 11 | 8 | 10 | 38-34 | 41 |
| 9.სასუოლო | 29 | 10 | 10 | 9 | 48-48 | 40 |
| 10.სამპდორია | 29 | 10 | 6 | 13 | 39-43 | 36 |
| 11.ბოლონია | 29 | 9 | 7 | 13 | 39-45 | 34 |
| 12.უდინეზე | 30 | 8 | 9 | 13 | 32-40 | 33 |
| 13.ჯენოა | 29 | 7 | 11 | 11 | 31-41 | 32 |
| 14.სპეცია | 30 | 8 | 8 | 14 | 40-55 | 32 |
| 15.ფიორენტინა | 29 | 7 | 9 | 13 | 36-46 | 30 |
| 16.ბენევენტო | 29 | 7 | 9 | 13 | 30-54 | 30 |
| 17.ტორინო | 29 | 5 | 12 | 12 | 42-52 | 27 |
| 18.კალიარი | 29 | 5 | 7 | 17 | 31-50 | 22 |
| 19.პარმა | 30 | 3 | 11 | 16 | 29-59 | 20 |
| 20.კროტონე | 30 | 4 | 3 | 23 | 37-77 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-მონცა ... 1:0
ბრეშა-პესკარა ... 1:1
ვირტუსი-სალერნიტანა ... 0:3
კრემონეზე-პორდენონე ... 2:1
ლეჩე-სპალი ... 1:2
ფროზინონე-ჩიტადელა ... 1:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

სტრასბური-პსჟ ... 1:4
მონპელიე-მარსელი ... 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 32 | 20 | 9 | 3 | 53-19 | 69 |
| 2.პსჟ | 32 | 21 | 3 | 8 | 71-23 | 66 |
| 3.მონაკო | 31 | 19 | 5 | 7 | 64-38 | 62 |
| 4.ლიონი | 31 | 17 | 10 | 4 | 60-31 | 61 |
| 5.ლანსი | 31 | 13 | 10 | 8 | 47-43 | 49 |
| 6.მარსელი | 32 | 13 | 10 | 9 | 43-39 | 49 |
| 7.მონპელიე | 32 | 12 | 10 | 10 | 52-53 | 46 |
| 8.რენი | 31 | 12 | 9 | 10 | 39-35 | 45 |
| 9.ნიცა | 31 | 12 | 6 | 13 | 41-42 | 42 |
| 10.მეცი | 32 | 11 | 9 | 12 | 36-38 | 42 |
| 11.ანჟე | 31 | 11 | 8 | 12 | 34-44 | 41 |
| 12.რეიმსი | 31 | 9 | 12 | 10 | 38-38 | 39 |
| 13.ბორდო | 31 | 10 | 6 | 15 | 34-41 | 36 |
| 14.სტრასბური | 32 | 10 | 6 | 16 | 41-50 | 36 |
| 15.სტ.ეტიენი | 31 | 9 | 9 | 13 | 32-46 | 36 |
| 16.ბრესტი | 31 | 10 | 5 | 16 | 43-54 | 35 |
| 17.ლორიანი | 31 | 8 | 8 | 15 | 37-54 | 32 |
| 18.ნიმი | 31 | 8 | 5 | 18 | 30-58 | 29 |
| 19.ნანტი | 31 | 5 | 13 | 13 | 32-48 | 28 |
| 20.დიჟონი | 31 | 2 | 9 | 20 | 20-53 | 15 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

პარიზი-ტრუა ... 1:1
ვალანსიენი-შამბლი ... 2:1
ლე ავრი-აიაჩო ... 1:1
გრენობლი-კაენი ... 3:1
ნანსი-სოშო ... 0:0
ნიორი-ოსერი ... 0:4
პო-კლერმონი ... 2:1
შატორუ-დიუნკერკი ... 1:2

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

ერაკლესი-რილბურგი ... 4:0
ალკმაარი-სპარტა ... 2:0
სიტარდი-ემენი ... 1:3
ზვოლე-ტვენტე ... 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-ფარენსე ... 1:0
ბოავიშტა-რიუ ავე ... 3:3
ტონდელა-პორტუ ... 0:2
ფერეირა-ბენფიკა ... 0:5

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ხიმკი-ტამბოვი ... 1:0
უფა-ახმატი ... 3:0
როსტოვი-რუბინი ... 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-ლივინგსტონი ... 6:0
სტ.ჯონსონი-აბერდინი ... 0:1
ჰამილტონი-დ.იუნაიტედი ... 0:1
კილმანროკი-როსი ... 2:2
მოზერველი-სტ.მირენი ... 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-რიდი ... 0:2
ალტახი-სტ.პოლენი ... 1:0
ჰარტბერგი-აუსტრია ... 1:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

სერკლი-ლეუვენი ... 3:0
მეხელენი-ვარეგემი ... 4:2
გენტი-შარლერუა ... 4:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ჰატაი-გიოზთეფე ... 2:3
რიზე-ტრაბზონი ... 0:0
გალათასარაი-ქარაგუმრუქი ... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვოლოსი-პანეთოლიკოსი ... 3:1
აპოლონი-ოფი ... 0:0
ატრომიტოსი-ლარისა ... 0:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

კარვინა-პლზენი ... 1:1
პრჟიბრჟამი-სიგმა ... 0:2
იაბლონეცი-ზლინი ... 3:1
ბანიკი-ოპავა ... 3:0
სლოვაცკო-ლიბერეცი ... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ლოზანა ... 1:0
ლუცერნი-ბაზელი ... 3:4

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-პლოცკი ... 2:0
ვარტა-სტალი ... 0:0
შლასკი-ლეხია ... 1:1

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

მტკ-ბუდაფოკი ... 0:0
ფეჰერვარი-უიპეშტი ... 4:0
ფერენცვაროში-პუშ.აკადემია ... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მარიუპოლი-შახტარი ... 0:3
დინამო-დნიპრო ... 2:0
დესნა-ოლექსანდრია ... 4:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-ჰამარბი ... 3:2
იორებრო-გიოტებორგი ... 0:0

# ოქროები და საქართველოს ჰიმნი მოსკოვში



რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში საქართველოს ჰიმნით დასრულდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი. ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში ქართველმა ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ ტურნირის დასკვნით დღეს სამი ოქროს მედალი მოიპოვა და ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ტალახაძის ოქროს მედლებში ეჭვი არავის ეპარებოდა. მთავარი იყო, შეეჭიდებოდა თუ არა, ჩვენებური მსოფლიო რეკორდს. 222 კილოგრამი ატაცში – ეს ახალი მსოფლიო რეკორდია, რომელიც ტალახაძემ მოსკოვში დაამყარა და ამ დისციპლინაში ოქროს მედალი მოიპოვა.

ლაშამ აკვრაში 253 კილოგრამი წონის აწევით სამივე მოძრაობაში ოქრო გაინაღდა, თუმცა, ტალახაძემ რეკორდზე (265) წასვლა ამჯერად არ გარისკა და მხოლოდ 263 კილოგრამს დასჯერდა.

მანამდე, 9 აპრილს, მოსკოვში საქართველოს ჰიმნი ქართული პასპორტის მქონე ანტონ პლესნოიმ ააჟღერა.

პლესნოიმ ატაცში სამივე მისვლა გამოიყენა – 171, 175, 180 და მცირე ოქროს მედლი მოიპოვა. ასევე ოქრო მიიღო ქართველმა ძალოსანმა აკვრაშიც, სადაც 207 და 213 ასწია და ჩემპიონობისთვის ეყო. თუმცა, ჩვენებური 221 კილოგრამთან მივიდა, მაგრამ ველარ მოერია. ანტონმა 393 კგ. მოაგროვა და ვერცხლის მედალოსან პეტრ ასაიონაკს 19 კგ-ით აჯობა.

ამავე დღეს ევროპის ჩემპიონატზე მყოფმა ქართულმა დელეგაციამ 1989 წლის 9 აპრილს დაღუპული ადამიანების ხსოვნას პატივი სიმბოლური ჟესტით მიაგო – შავი სამკლავურები, წარწერით 9 აპრილი.

ოქროს მედლები სხვადასხვა დისციპლინაში მოიპოვეს რევაზ დავითაძემ და ანასტასია გოტფრიდმა. სულ საქართველოს დელეგაციამ 8 მაღალი სინჯის მედალს მოუყარა თავი და გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდა.

# საქართველოს ფუტსალის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს

საქართველოს ფუტსალის ნაკრები ევროპის 2022 წლის ჩემპიონატზე ითამაშებს. საკვალიფიკაციო ეტაპის მე-2 ჯგუფში ბოლოსწინა ტურის მატჩში ჩვენებმა ფრანგებს დრამატულ ბრძოლაში 3:2 აჯობეს და გაინაღდეს ფინალურ ეტაპზე თამაში.

ავთანდილ ასათიანის გუნდი 10 ქულით საუკეთესო მეორე ადგილზე დაასრულებს საკვალიფიკაციო ეტაპს და გაისად, კონტინენტის საუკეთესო გუნდებთან ერთად ნიდერლანდებში ითამაშებს.

საქართველო ამჟამად რვა საუკეთესო მეორეადგილოსანს შორის პირველია და შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მეშვიდეადგილოსან უნგრეთზე 4 ქულით წინაა, ხოლო სადღეისოდ მესამეადგილოსანმა უკრაინამ საკვალიფიკაციო ეტაპი 9 ქულით უკვე დაამთავრა. ევროპის ჩემპიონატის საგზური კი რვიდან ექვს საუკეთესოს ერგება.

მატჩი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, საფრანგეთს გამარჯვების გარდა არანაირი შედეგი ხელს არ აძლევდა, ჩვენთვის ფრეც მისაღები იყო. არანაირი ფრე – მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები დაწინაურდნენ, ჩვენებმა საქმე პირველ ტაიმშივე მოაგვარეს 3:2.

რაც შეეხება ჩვენი ჯგუფის პირველ გუნდს, ის რუსეთია, რომელმაც პარალელურად სომხეთს 5:2 სძლია, ბოლო ტურში კი საქართველოს უმასპინძლებს.

**ავთანდილ ასათიანი:**

– პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ვმუშაობდით საფრანგეთთან მატჩის თარიღზე, რამდენიმე ვარიანტი იყო – 7, 8, 9 და 10 აპრილი. რა თქმა უნდა, პირადად მე ავირჩიე 9 აპრილი, რადგან ეს ჩვენთვის ძალიან დიდი დღეა. ბრაზილიელებსაც ავუხსენით, რა დონის და როგორი მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს დღე, ყველა ინფორმაცია გადავეცით და ეს ყველაფერი თამაშზე აისახა. ამ დღემ ძალიან დიდი სტიმული მოგვცა და მინდა ეს გამარჯვება სწორედ იმას მივუძღვნა, რაზეც საქართველო ამდენი წელია ამ დღესთან დაკავშირებით საუბრობს. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი გულშემატკივარი იყო. განსაკუთრებით ბოლო წუთებში ვიგრძენი, რა როლი ითამაშა ქართველმა გულშემატკივარმა ამ თამაშზე. მადლობა სფფ-ს, რადგან მართლაც იმუშავეს და შედეგი სახეზეა. ჩვენ ყველამ ერთად გავიმარჯვეთ. ძალიან რთულ ჯგუფში დავიკავეთ მეორე ადგილი. დაწყებამდე ვინმეს რომ ეთქვა, 10 ქულას აიღებთო, ცოტა ნატვრასთან იქნებოდა ახლოს. თუმცა, ეს ნატვრა რეალობად ვაქციეთ. განსაკუთრებით ბოლო თამაშისთვის ვემზადებოდით, ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, ბევრი ღამე გავათენეთ იმისთვის, რომ ფეხბურთელებისთვის ყველა ინფორმაცია მიგვეწოდებინა, რას ვაპირებდით, როგორი სისტემით თამაშს. მიხარია, რომ ყველას შრომა კონკრეტულად ამ თამაშში გამოჩნდა.

**ზვიად კუპატაძე:**

– ჩემთვის ეს განსაკუთრებული გამარჯვებაა. მით უმეტეს, რუმინეთთან წაგების მერე (4 წლის წინ ფლეი ოფში) მეორედ ასეთი მატჩის თამაში ძნელი იყო. ბიჭებმა ყველაფერი დავდეთ. 9 აპრილს პატარა ვიყავი, 8 წლის. 32 წლის შემდეგ ახლაც მახსოვს ეს დღე. ჩემს სამშობლოს მინდა მივუსამძიმრო დაღუპული ადამიანების გამო. ქართველებისთვის ფეხბურთი რელიგიაა, ყველაფერია და ამიტომ, ყველას გილოცავთ. არ შემიძლია ცრემლების შეკავება, რადგან ჩემთვის ეს თითქმის ბოლო შანსი იყო, ევროპის ჩემპიონატზე მეთამაშა კარიერის მიწურულს. სამწვრთნელო შტაბს, ბიჭებს, ფედერაციას ყველას დიდი მადლობა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე; 2. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 3. ხუროთმოძღვრული სტილი შუა საუკუნეების ევროპაში; 4. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 5. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 11. ფრანგული საიუველირო ფირმა; 12. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 14. სქელი მურაბა; 16. სამკურნალო დაწესებულება; 17. ეკლესია თბილისში; 19. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 21. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი; 22. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

**თარაზულად:** 6. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 7. სითხის, ორთქლის, ბუნებრივი აირის წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 8. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 9. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 10. ცხენშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. შუშხუნა ღვინოების დასაყენებლად გამოყენებული ჰერმეტული, სპეციალური ავზი; 18. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ქართული სამშენებლო კომპანია; 21. ტყვიათუთიის საბადო სამაჩაბლოში; 23. წალკის ძველი სახელწოდება; 24. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მესა; 2. ომი; 3. ვილსდორფი; 4. შნეკი; 5. ცინიზმი; 8. ნანა; 9. დელიქტი; 10. ტარიბანა; 12. ძელქვა; 13. სეიმი; 15. წუნდა.

**თარაზულად:** 1. მაესტრო; 6. დიპტანკი; 7. სენტო; 10. ტესტი; 11. ინისე; 13. სპიჩი; 14. ანწლი; 16. ქუჯი; 17. იაგუნდი; 18. ქაჯაია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ალებასტრი; 2. ფეიქარი; 3. ციცაგი; 4. აქატი; 5. ქსენძი: 11. მიზანი; 12. სეტერი; 14. გუნო; 16. ლიეტუვა; 17. შაჰნამე; 19. ბერინგი; 21. ქორქი; 22. მუაში.

**თარაზულად:** 6. კლარნეტი; 7. კაქტუსი; 8. ტვენი; 9. მადონა; 10. გეიმი; 13. გროგი; 15. ალადასტური; 18. მიკრობი; 20. არნო; 21. ქაბული; 23. კატამარანი; 24. მუთაქა.

# სამგლოვიარო განცხადებები

გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფეთქების ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი

**სერგო ხომერიკი**

თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4260

ევრო — 4.0646

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7108

100 რუსული რუბლი — 4.4399

## ამინდის პროგნოზი 12 აპრილისათვის




## რონალდ კუმანმა მსაჯები გააკრიტიკა



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა რეალთან მარცხის შემდეგ მსაჯებზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვეს რეალის სასარგებლოდ. განსაკუთრებით ეს არდანიშნულ პენალტს ეხება:

— უკვე მერამდენედ ხდება, რომ მსაჯები ვარს ისე არ იყენებენ, როგორც საჭიროა და ამით გუნდები ზარალდებიან, მათ შორის, ჩვენც. პირველი ტაიმი ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მეორე ნახევარში უკეთესები ვიყავით და მინიმუმ ფრეს ვიმსახურებდით.

## კლოპი: „მნიშვნელოვანი ქულები მოვიპოვეთ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ასტონ ვილასთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

კლოპის თქმით, ასეთი გამარჯვებები გუნდის ფსიქოლოგიაზე კარგად მოქმედებს:

— გუნდმა გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოლა და ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ, თუმცა თამაშის ხარისხი უკეთესი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, რომ რეალთან შანსი გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ურთულესი ამოცანაა.

## ზიდანი: „გამარჯვებით ძალიან ბედნიერები ვართ“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა რეალის და ბარსელონას დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა.

ზიდანის აზრით, მსაჯმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც რეალის კარში პენალტი არ დანიშნა:

— მსაჯების მუშაობას არასოდეს განვიხილავ და ეს არც მაშინ ხდება, როდესაც ჩვენ საწინააღმდეგოდ იღებენ გადაწყვეტილებებს. მოპოვებული გამარჯვებით ბედნიერი ვარ და ვფიქრობ, რომ ჩემპიონობის კარგი შანსი გაგვიჩნდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ახალგაზრდა რაიონის სილამაზის სალონში შევიდა, სავარძელში ჩაჯდა და სალონის თანამშრომელს უთხრა:

— ბრედ პიტის ვარცხნილობა მინდა, — და მაშინვე ჩაეძინა.

როდესაც თვალი გაახილა, სარკეში დაინახა უსწორმასწოროდ შეკრეჭილი თმები და სტილისტს დაუყვირა:

— ბრედ პიტს ასეთი ვარცხნილობა არ აქვს!

— ჩვენთან შეეკრიჭა და ასეთი ექნებოდა, — უპასუხა სტილისტმა.

●●●

დივანზე წამოწოლილი ქმარი კროსვორდს ავსებს და ცოლს ეკითხება:

— პირველი მამაკაცი, ხუთი ასო...

— ომარი.

●●●

პოლიციის უფროსს რიგითი თანამშრომელი მოახსენებს:

— ბატონო მაიორო, ბლოგერის მანქანა გავაჩერეთ, 200 გადაუხდელი ჯარიმა და ყალბი ნომრები აღმოაჩნდა. რა ვუყოთ?

— ოპოზიციის აგიტატორია?

— არა.

— მაშინ გაუშვი.

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

— უკაცრავად, ექიმი ხართ?

— არა, მათემატიკოსი ვარ.

— იქ ადამიანი არ სუნთქავს და იქნებ დაგვეხმაროთ?

— მინუს ერთი.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— იცი, გუშინ სპეცრაზმმა მაზოხისტების დემონსტრაცია დაარბია.

— მერე?

— ასეთი სიამოვნება დიდი ხანია, არც ერთ მხარეს არ განუცდია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნინო სურგულაძეს კორონავირუსი დაუდასტურდა



ოპერის მომღერალ ნინო სურგულაძეს კორონავირუსი დაუდასტურდა. ინფორმაცია ინტერნეტში მან თავად გაავრცელა:

— არ არსებობს არანაირი დაბრკოლება, სირთულე, ვირუსი თუ სხვა რამე, რასაც ერთმანეთის სიყვარულით, მოფრთხილებით, ერთმანეთზე ზრუნვით და უფლის შეწევნით ვერ მოვერევით.

დიდი სიფრთხილის მიუხედავად, დღეს მეც უკვე კოვიდინფიცირებული ვარ, თუმცა ვიცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება!

თქვენი სიყვარული და სითბო ახლაც ძალიან გამაძლიერებს. გთხოვთ ყველას ძალიან, გაფრთხილდით, დაიცავით რეგულაციები, ნუ მივცემთ შანსს კოვიდს, მოგვერიოს, ჩვენ მოვერიოთ, ჩვენ ეს შეგვიძლია. მიყვარხართ.

## ნუკა კვალიაშვილი გათხოვდა



მომღერალი ნუკა კვალიაშვილი გათხოვდა. მისი რჩეული გოჩა გელაშვილია. ნუკა პირველ ქორწინებაში ნიკუშა კობახიძესთან იმყოფებოდა და მასთან ორი ბიჭი — ლუკა და სანი ჰყავს.

მომღერალს საყვარელმა ადამიანმა ხელი საჯაროდ სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო.

ეკა კვალიაშვილი, ნუკა კვალიაშვილის დედა:

— დალოცვილები ხართ და იყავით შემოქმედი უფლისგან! გამრავლდით და იხარეთ! მიყვარხართ! ნუკა გაგვითხოვდაა!

## ია ფარულავა: „ვგმობ ყველანაირ ძალადობას!“



მსახიობი და ტელეწამყვანი ია ფარულავა ინტერნეტში ვიდეოჩანაწერებს ავრცელებს, სადაც საჯაროდ აცხადებს, რომ გმობს ყველანაირ ძალადობას და მისი გინებები მხოლოდ პერფორმანსის ნაწილია:

— ვგმობ ყველანაირ ძალადობას და ახლა არ დამიწყოთ, შენ რომ იგინები, ეგ ძალადობა არააო? ეგ პერფორმანსის ნაწილია. ძალიან კარგად დაწერა გიორგი ვაშაძემ, რომელსაც დიდ პატივს ვცემ და გარდა საქეიფო ადგილებისა, კიდევ რა უნდა დაინახოს სტუმარმა? რა მიღწევები გვაქვს? შვედი კაცი გავაქცუნეთ გიჟივით, გავაგიჟეთ. ახლა ის მიღწევა გვექნება, რომ ამათი გაბუნძულებით, საერთოდ რას ჩამოდიოდნენ, საერთოდ გაუქმდება ჯავშნები რუსეთიდან. არადა, საქართველოს ტურიზმი დგას რუსეთზე, რამდენადაც სამწუხარო უნდა იყოს. ლარის კურსის ავარდნასაც დაელოდეთ, მეგობრებო. ჭკუა ვერ ვისწავლეთ, რა.

მადლობა ღმერთს, ძალიან ბევრი ბლოგერი რუსეთში საჭირო საქმეს აკეთებს და საქართველოში ტურიზმის პოპულარიზაციას ეწევა. ტურიზმის გარეშე დაღუპულები ვართ, ხალხო. იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მე სასტუმრო მაქვს. ერთი წელია, რაც მუშაობდა ეს სასტუმრო, დაკეტილი იყო. უამრავი ადამიანია დასაქმებული ამ სფეროში.

ვერ ვითმენ, უნდა ვთქვა, რომ 2010 წელს გააკეთა პოზნერმა სამტრო განცხადება საქართველოსთვის. რატომ მაშინ არ გამოცხადდა პერსონა ნონგრატად ეს კაცი? რატომ მიდი-მოდიოდა მთელი ცხრა წლის განმავლობაში თავისუფლად? ჩვენი პრობლემა, იცით, რაშია? ერთს ვფიქრობთ, მეორეს ვამბობთ და მესამეს ვაკეთებთ.

## ირაკლი მაქაცარიამ რჩეული გამოაჩინა



ყველაზე სასურველმა სასიძომ ირაკლი მაქაცარიამ რჩეული გამოაჩინა. მისი საყვარელი გოგონა მომღერალი ლიზა ჩიჩუაა. ლიზა ცნობილი ექიმების — ოფთალმოლოგ გიორგი ჩიჩუასა და ენდოკრინოლოგ ქეთი ასათიანის შვილია.

— ჩემი ცხოვრების სიყვარული ლიზა ჩიჩუა — ასე დააწერა ფოტოს ირაკლი მაქაცარიამ, რომელიც ინტერნეტში გაავრცელა.

## ხანდაზმულმა კურიერმა სიგარეტისთვის თავის დანებება გადაწყვიტა და გამდიდრდა

ხანდაზმულმა კურიერმა ინგლისის ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ საუთჰემპტონიდან გადაწყვიტა, მოწევისთვის თავი დაენებებინა და ამისთვის ნამდვილი სიგარეტის ელექტროსიგარეტით ჩანაცვლება გადაწყვიტა, რა დროსაც მოულოდნელად ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.



63 წლის კურიერმა ჯონ მაკფედენმა გადაწყვიტა, სიგარეტის მოწევის მავნე ჩვევისგან გათავისუფლებულიყო და მაღაზიაში ელექტროსიგარეტის საყიდლად შევიდა.

— მოწევის ჩვევისთვის რაღაც უნდა მომეხერხებინა, — აღნიშნა მან, — ხურდაში კი ლატარიის ბილეთი ავიღე.

ინგლისელმა გათამაშების შედეგები პირდაპირ სალაროსთან შეამოწმა და შეიტყო, რომ მისი გამარჯვებული გახდა.

მაკფედენმა მოლარეს მოგების განაღდება სთხოვა, მაგრამ მან აუხსნა, რომ მისი მოგება მეტისმეტად მსხვილი იყო და ამისთვის ლატარიის შტაბ-ბინაში უნდა მისულიყო.

— გავოგნდი, როდესაც მითხრეს, რომ მილიონი ფუნტი სტერლინგი მოვიგე. ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ეს სიმართლე იყო.

ლატარიის გათამაშების გამარჯვებულმა მოგებული პრიზი უკვე მიიღო და კომპაქტური შკოდას კროსოვერიც შეიძინა. ის სამოგზაუროდ წასვლასაც გეგმავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მერაბ კოკოჩაშვილს აკრიტიკებენ



86 წლის რეჟისორს მერაბ კოკოჩაშვილს მისი ახალი გადაწყვეტილების გამო აკრიტიკებენ. რეჟისორი ახალ ფილმს „ტერკო მონდო“ იღებს, სადაც ქართველ მსახიობებთან ერთად, შესაძლოა ფრანგი ვარსკვლავი ჟერარ დეპარდიეც გადაიღოს. სწორედ ამ ინფორმაციის გავრცელებამ გამოიწვია საზოგადოების ნაწილში კრიტიკა — მათთვის ქართულ ფილმში პუტინის მონა მსახიობის მონაწილეობა მიუღებელია.

**ბაკურ ბაკურაძე, რეჟისორი, დიზაინერი:**

— მერაბ კოკოჩაშვილი არის ჩვენი ქვეყნის სიამაყე და სიმბოლო, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი და უდიდეს წინაპართა ღირსეული შთამომავალი. სადაც მერაბ კოკოჩაშვილია თავისი ადამიანობით, სულით, ნიჭითა და კაცობით, იქამდე მდაბიოთა ხმა ვერ აღწევს, ვერა!

დაზუსტება: მდაბიოა ყველა, ვინც შეეცდება მერაბ კოკოჩაშვილის და მისი სიმაღლის ქართველების ჩარეცხვას ან შეურაცხყოფას!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 12 აპრილისათვის



**ვერძი** — გონიერებას მოუხმეთ. სანამ რამეს გადაწყვეტთ, სიტუაცია კარგად აწონდაწონეთ. **კურო** — მიზნის მიღწევაში შეუპოვრობა და სიჯიუტე დაგეხმარებათ. უკან ნუ დაიხევთ. **ტყუპები** — ნუ იქნებით მეტისმეტად მიმნდობი. მიამიტობა დღეს ცუდ სამსახურს გაგიწევთ და მოტყუებული დარჩებით. **კირჩხიბი** — დასამახსოვრებელი და ერთ-ერთი გამორჩეული დღეა. თავს ძალიან კარგად გრძნობთ. **ლომი** — მოულოდნელი შეხვედრა ან ახალი ინფორმაცია გეგმების შეცვლის მიზეზი გახდება. შესაძლოა, პარტნიორთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. **ქალწული** — თუ ახალი სამსახური შემოგთავაზეს, უყოყმანოდ დათანხმდით. ფორტუნა გიღიმით. **სასწორი** — მცდარი ინფორმაცია თქვენს გეგმებზე უარყოფით გავლენას მოახდენს. დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ. **ღრიანკალი** — ცვლილებები შეიტანეთ ყოფაში, გარეგნობაში. ახალი იმიჯი წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. **მშვილდოსანი** — ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე და საღი განსჯის უნარი შეინარჩუნეთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი დღეა. ყველაფერში გიმართლებთ. ახალი შემოთავაზებით კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** — საქმიანი აქტივობა არასასურველია. შესაძლოა, მეგობრების დახმარება დაგჭირდეთ. **თევზები** — დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე, სათნოება. თქვენს აზრს გარშემომყოფები ანგარიშს გაუწევენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ინფორმაციის ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 2. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 3. მედიცინაში გამოყენებული ფუტკრის მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 4. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 5. ბეისბოლისტის ამპლუა; 8. ქართული ფული; 9. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 10. მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი იტალიელი კომპოზიტორი; 12. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 15. ოქროთი ან ვერცხლით დაფარული ხის ან ლითონის ნაკეთობა.

**თარაზულად:** 1. ძველებური, აბრეშუმის სამკუთხა ხელსახოცი, ყარაჩოღელთა ტანსაცმლის ატრიბუტი; 6. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 7. ლუდის სასმელი კათხა; 10. პატარა, მოკლებეწვიანი, დეკორატიული ჯიშის ოთახის ძაღლი; 11. ორი ზღვის დამაკავშირებელი ვიწრო გასასვლელი; 13. მდინარის თევზი; 14. პირველი ახლად მოსული თოვლი; 16. თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში კახეთში; 17. ქართული ძილისპირული; 18. კომპანია „ზარას“ მფლობელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*